

# საქართველოს



# საქართველო



№ 31

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 31

რედაქცია და კანტორა

თბილისი, პლენანოვის პროს. სასტუმრო  
„ნ.ო.ე.“ ოთახი № 102.

ფასი 5 კაპ.

რედაქცია და კანტორა

ლია ყოველ დღე { დილის 9-1 დღ.  
საღამოს 3-5 1/2 დღ.  
კვირა-უძმე დღეს 10-3 ს.დღ.

## დუმერგი და აკიონს მთავრობა.

უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საფრანგეთში დიდი ბრძოლა სწარმოებდა პრეზიდენტის პოსტის გარშემო.

ერთი თანდაპირველად იმით განაცხადა უარი მთავრობის შედგენაზე, რომ არ უნდოდა პრეზიდენტად ყოფილიყო პუანკარეს მეგობარი და მარჯვენა ხელი მილერანი.

დიდი ბრძოლა მისცა მემარცხენე ბლოკმა მილერანს და ის გადაყენებულ იქნა...

მაგრამ, მის მაგივრად პრეზიდენტად არჩეულ იქნა ისევე ნაციონალური ბლოკის წარმომადგენელი დუმერგი.

დუმერგის არჩევა ეს იყო მემარცხენეთა ბლოკის სასტიკი დამარცხება. ეს ფაქტი სამართლიანად აღნიშნა მემარჯვენე პრესამ.

მემარცხენეებმა ბოლომდე ვერ ჩაატარეს დაწყებული ბრძოლა და პრეზიდენტად წამოსკუბდა ისეთი კაცი, რომელიც აშკარად და გაბედულად გაატარებს პუანკარეს პოლიტიკას.

დუმერგის არჩევა პრეზიდენტად მაშინ, როცა თითქმის გადაწყვეტილი და უზრუნველყოფილი იყო პენლევეს კანდიდატურა, ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ მემარცხენე ბლოკი მეტად უზერხემლო და უდისციპლინოა, ხოლო ნაციონალური ბლოკი, თუმცა არჩევნებში დამარცხდა, მაგრამ ჯერ ისევ ძლიერია.

დუმერგის ცნობით პუანკარე შეიძლება გახდეს სენატის თავმჯდომარეთ და მაშინ ხომ ერიოს მთავრობა სრული მაინაწალა გახდება ნაციონალური ბლოკისა, ვინაიდან დუმერგი და პუანკარე, ეს ორი გავლენიანი ნაციონალური ბლოკის წარმომადგენელი უსათუოდ გადამჭრელ როლს ითამაშებენ საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს იქნება საბოლოო

ყო და სრული დამარცხება მემარცხენე ბლოკისა.

მართალია, დუმერგმა უკვე განაცხადა მის საპატივცემოდ გამართულ ბანკეტზე: „ამიერიდან თქვენ მე ვერ მიხილათ პოლიტიკური მებრძოლის როლში, ჩემი ახალი თანამდებობა მიკარნახებს, მე ვილდე პარტიების გარეშე, მაგრამ ამივე დროს ვიცადე რესპუბლიკის და დემოკრატიის ინტერესებსო,“ მაგრამ ამ განცხადებას არავითარი ფასი არ აქვს, ჩვენ ვიცით, თუ როგორ“ დაიცავს დემოკრატიის და რესპუბლიკის ინტერესებს ზ. დუმერგი—“ და როგორ „შესძლებს პარტიათა გარეშე დგომას.“

უკვე გამოქვეყნდა ერიოს მთავრობის დეკლარაცია. ეს დეკლარაცია შეიცავს ორ მომენტს: შინაურს და საგარეოს. შინაურ პოლიტიკის სფეროში ერიო გვირდებო: საყოველთაო ამნისტიას, რომელიც არ შეეხება მხოლოდ სახელმწიფო მოღალატეებს, დათხოვნილ რკინისგზებზე თავიანთ უფლებებში აღდგენას, სამხედრო ხარჯების შემცირებას, 8 საათის სამუშაო კანონის დაცვას, მუშების პროფესიონალურ უფლებების დაცვას, სახელმწიფო მოსამსახურეების პროფესიონალური უფლებების ცნობას, ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის სწორი დათვალეირების ჩატარებას ბიუჯეტის წონასწორობის დაცვის მიზნით, საგადასახადო ბოროტ მოქმედებათა აღაგმვას და სხვ.

აი ასეთია საშინაო პოლიტიკა ერიოს დეკლარაციის მიხედვით. ამ დეკლარაციაში აშკარად მოსჩანს მემარცხენე ელემენტების ზრახვები, მაგრამ საქმე იმაშია, თუ რამდენად გაატარებს ერიოს მთავრობა თავის პროგრამას ცხოვრებაში. ჩვენის აზრით ეს მხოლოდ ფრაზებია და მეტი არაფერი.

ერიოს კაბინეტის სამხედრო მინისტრია გენ. ნოლ, რომელიც იყო ანტანტის სამხედრო კომისიის თავმჯდომარედ. ცხადია ნოლს

ბელში ერიო ნაკლებად შესძლებს ხარჯების შემცირებას. ეს უკვე იგრძნო გერმანიის მემარჯვენეებმა და ისინი სწვრენ, რომ ერიო იქნება პუანკარეს აშკარა გაგზავნილებო.

ვერც ფინანსიურ დარგში შესძლებს რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას ერიო, სანამ ფინანსთა მინისტრად უზის ისეთი კაცი, რომელიც დაკავშირებულია მსოფლიო ფინანსიურ წრეებთან და ბანკებთან.

ყველაფერი ეს ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ ერიოს პროგრამა საპნის ბუშტივით გაქრება სწამდელივით.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, აქ ახალი მხოლოდ არის ერთი მუხლი: ეს არის „ნორმალური ურთიერთობის განახლება საბჭოთა კავშირთან.“

ეს, რასაკვირველია, დიდი პლიუსი იქნება ახალი მთავრობის. ხოლო გერმანიის მიმართ ერიოს მთავრობა განაგრძობს პუანკარეს პოლიტიკას. ე. ი. ის იღებს ექსპერტთა მოხსენებას, სტოვებს რურის ოკუპაციას, ანახლებს კონტროლს გერმანიის ვანიარალებზე და სხვ.

ეს ყველაფერი ძველი სიმღერაა.

და ეს სიმღერა გაგრძელდება მაშინ, სანამ მუშათა კლასი თავის ხელში არ აიღებს ძალაუფლებას.



## გზიკა უანიუზნა.\*)

ჩვენი ჟურნალის გასულ ნომერში მოთავსებულია ანხ. არჩილ რუხაძის სადისკუსიო წერილი ჩვენი (ყოფილი მენშევიკების) სახელწოდების გამოცვლის შესახებ.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს და მოითხოვს მოშორებას იმ უარყოფით ეპიტეტებს, რომელიც თან გვახლავს ყოფილებს.

მართლაც დროა. ეს კიდევ უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. „მენშევიკური“ ჩვენში არა-

\* ) დისკუსიის წესით.

ფერია. ჩვენ სავსებით განკურნებული ვართ ამ სენიდან. შევსძელით მოგვეშორებია „მენშევიზმი“, ხოლო „მენშევიკი“ მაინც გვაკერია. რამდენი უბედურება არის, როცა გვიხდება პოლიტიკურ ფიზიანომიის გამოსარკვევად ესტეპია: **ყოფილი მენშევიკი.**

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამხ. არ. რუხაძის შეხედულებას ამ საკითხზე, ხოლო გვაქვს მკირე შენიშვნა. ის ამბობს, რომ ნაცვლად „ყოფილ მენშევიკი“-სა-ეწოდოს: **კომპარტიის თანამგრძობელი.**

ყოფილი მენშევიკი (ამ სიტყვის 25—30 აგვისტოს ვაგებობი და შინაარსით) უფრო რევოლუციონერი, უფრო ახლოს სდგას კომპარტიასთან, ვიდრე „თანამგრძობელი“, პირველებში სრული ერთგვარობაა ამ ჟამად, მაშინ, როცა უკანასკნელი (თანამგრძობელი) შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივად იზიარებდეს კომპარტიის პროგრამას და საბჭოთა სისტემას.

ჩვენ ვიცით იყო და არის კომპარტიისადმი ლოიალურად განწყობილი პარტიები თუ ჯგუფები, მაგრამ ისინი ისე ახლოს, ისე მშობლიურად არ არიან კომპარტიასთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან, როგორც **ნამდვილი** ყოფილი მენშევიკი.

„კომპარტიის თანამგრძობელი“-ს ფრთებს ქვეშ ბევრი უბრინციკო და შავი ელემენტები შეაფარებენ თავს, როგორც ეს დღეს არის. საილიუსტრაციოდ მოიყვან ამ შემთხვევას. ერთ დაწესებულებაში ანკეტის შეესის ღროს ერთმა თანამშრომელმა, რომელიც ტიათური კონტრ-რევოლუციონერია, კითხვას ასე უპასუხა: „კომპარტიის თანამგრძობი“.

და განა თითოეულმა ჩვენგანმა არ იცის, რომ ეს ასე ხდება!

კარგია, რომ თანამგრძობა ნამდვილი და გულწრფელი იყოს, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ეს ასე არ არის.

მერე და—ხომ ჩენი (ყოფილ მენშევიკების) საინიციატივო ბიურო ხელმძღვანელობს მშრომელთა მასების (რომლებიც მენშევიკურ პარტიას ეკუთვნოდნენ) მენშევიზმიდან დახსნას ბევრ „თანამგრძობელთ“ არაერთარი საერთო არ ჰქონებიათ არა თუ მენშევიკურ, არამედ სხვა არმელომე პოლიტიკურ („სოციალისტურ“) პარტიებთან.

აქ მოხდება აღრევა, რაც ძალიან ავნებს მენშევიზმის რღვევის პროცესის ნორმალურ მსვლელობას. ამ სახელწოდებით ისარგებლებენ შავი ელემენტები და შეარცხენენ მათ, ვინც მართლა არა თუ „თანამგრძობია“, არამედ ნამდვილი რევოლუციონერი.

მრწამს, რომ იქნებოდეს ერთგვარი წიგნაკი (თუ ბილეთი), რომელიც მიეცემა შესაფერ კორგანოს მიერ კემშარიტ და პატიოსან თანამგრძობს. მაგრამ ეს ასე არ იქნება და რომც იქნეს, ბნელი ძალები აქაც შემოიპარებიან.

ხომ ჩვენმა ბიურომ უნდა უხელმძღვანელოს ჯერჯერობით ამ „თანამგრძობთა“ ორგანიზაციის, ხომ მასზე იქნება პასუხისმგებლობა, რომელსაც ასე კარგად ასრულებს იგი კომპარტიის წინაშე.

„თანამგრძობელები“ შეიძლება იყოს სხვებიც, არა ყოფილი მენშევიკი და, მაშასადამე, ეს სახელწოდება არ მიეკუთვნება სავსებით

ყოფილებს. ხოლო „სხვები“-ს შესახებ პასუხისმგებლობას ბიურო ვერ იკისრებს.

მერე კიდევ განა დამკვირბას არ იგრძნობს **ყოფილი**, რომელიც სავსებით უერთდება კომპარტიას—როცა დაინახავს, რომ მის გვერდით და მის სახელწოდებით შავი ელემენტი სდგას?

გაუგებრობის გამორკვევამდე მშრომელთა კლასი და პროლეტარიატი მენშევიკურ პარტიას მიჰყვებიდნენ—და ამათი დადგომა სხვებთან, რომლებსაც სავსებით ნაწილი მაინც ორგული პროლეტარიატის და ნილაბს ატარებენ, დაუშვებელია.

ყველა ამ და მრავალი სხვა მოსაზრებებით, მე მგონია უნდა გამოინახოს სხვა სახელწოდება, რომელიც უფრო ნათლად და გარკვეულობით გამოჰკვეთს ყოფილ მენშევიკთა არსებულობას.

ამ სახელწოდებას უნდა ჰქონდეს გასული წლის 25—30 აგვისტოს დამახასიათებელი იერი.

„**ჰამლეტი**“.



**ექვსი თუ რვა საათი.\*)**

ამ ბოლო ხანებში ჩვენს პრესაში საკითხია აღძრული იმის შესახებ, რომ საკანცელარო სამუშაო 8 საათის მაგივრად გრძელდებოდეს 8 საათს ისევე, როგორც ეს არის ფიზიკურ მუშაობისათვის.

მე არ ვარ მეცნიერი და ვერც ვიტყვი იმას,თუ თავიდანვე რატომაა კანცელარიებში მომუშავე ჩვეულებრივი გადაწყვერთათვის 6 საათის სამუშაო დრო შემოღებულა, მთელი დღის განმავლობაში ფეხზე მდგომ ასოთმწყობ მუშებისათვის კი 8 საათი. მაგრამ დავანებთ ჯერჯერობით ამას თავი და შევეხებით იმ საკითხს, თუ რითია გამოწვეული დღეს 6 საათის 8-ათ გადაქცევის საჭიროება. ჩემის აზრით ალბათ იმითი, რომ უმეტეს შემთხვევაში ჩენი დაწესებულებები ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას და ვერც ასრულებენ მიმდინარე საქმეებს დანიშნულ დროის განმავლობაში. ამიტომაც არის, რომ ჩამორჩენილ საქმეების დასასრულებლათ ასე საშინლათ ფართოდება ზედმეტი სამუშაო საათების გაკეთება. მე კი ფიქრობ, რომ დაწესებულებებში, რომ ყოფილიყო **ინტენსიური, გახურებული მუშაობა, რომ არ ჰქონოდა ადგილი არც სამსახურში დაგვიანებით გამოცხადებას, არც მუშაობის დროს მაგიდების გარშემო გამართულ მუსაიფობას, არც იმავე სამსახურის დროს კრებების გამართვას, არც მთელის დღეებით და კვირაობითაც სამსახურში არ გამოცხადებას**, სრულებითაც არ წამოიჭრებოდა ჩვენს წინაშე ეს საკითხი.

ამიტომ მე ფიქრობ, თუ ეს წესი დარჩა ისე, თუ ამ „ტრადიციული“ გულგრილობა სამუშაოსადმი ისევე დარჩა ჩვენს დაწესებულებებში, რვა საათი კი არა, ათიც რომ შემოვიღოთ, მაინც არათუ გამოვა. და ისევე გამრავლდება ზედმეტი საათების სამუშაო, როგორც ეს არსებობს დღეს. მაშ როგორ მოვიქცეთ?..


\*) დისკუსიის წესით.

თავი და თავი, მე მგონია, ყოველ ღონე უნდა ვიხმაროთ **ინტენსიური, გახურებულ მუშაობის შემოღებით** დღევანდელ ზარმაცობად გადაქცეულ ჩვეულების აღმოსაფხვრელად საკანცელარო ცხოვრებიდან. **არც ერთი წუთი უსაქმიოდ. არც ერთი წუთი დაგვიანება.** აი ესაა მთავარი, რომლის შემოუღებლათ ჩვენ, როგორც ზევითაც ვსთქვი, ვერც ათ საათის შემოღებით უშველით საქმეს. მაშ შემოვიღოთ და გავატაროთ ცხოვრებაში „**დროის ლიგა**“ ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით...

იმაღლება მეორე საკითხი თუ რამდენათ მივინებელია ან აუტანელი ექვსი საათზე ზევით მუშაობა კანცელარიებში, ანუ გონებრივი მუშაობისათვის. უწინარეს ყოვლისა არ შეიძლება საკანცელარო მუშაობის მთლად გონებრივ მუშაობათ ცნობა. აქ საჭიროა მაგარი ხაზის გატარებით განცალკევება, თუ რომელია მართლაც გონებრივი და რომელი არა; რაც შეეხება მაგნებლობას ან აუტანლობას, ამ შემთხვევაში თვით საკანცელარო სინამდვილე ლაპარაკობს იმას, რომ ექვსი საათის პრინციპის დაცვის კედლები სწორედ ამ ოჯახიდან ინგრევა და სრულებითაც არ ეტყობა, რომ უმრავლესობისათვის მავნებელი ყოფილიყოს ის. რას გვეუბნება ჩვენ ასე უხვით ვაგრძელებული ზედმეტი საათებითი სამუშაო თუ არა იმას, რომ ექვსი საათზე ზევით მუშაობა უმრავლესობისათვის მაინც არ ყოფილა საზიანო და აუტანელი ისე, როგორც ეს წარმოდგენილი გვექონა ჩვენ... და რომ ეს ასეა. სჩანს თუ ვინდ იქიდანაც, რომ არც პროტესტი ისმის კანცელარიების ზედმეტი სამუშაოს საწინააღმდეგოდ და არც მოთხოვნილება ზედმეტი ძალების შემოსაყვანათ... ამას გარდა ჩვენ სამუშაოდ მოწამენი ვხდებით ასეთი ფაქტებისაც: რომელიმე დაწესებულებაში შესაცენია, ესთქება, წლიური ანგარიში, რომლის დამთავრება ჩვეულებრივი ზედმეტი საღამოს სამუშაო საათებით მუშაობას მოითხოვს სამ თვეს, მაგრამ, როდესაც აძლევ ნარდათ, მაშინ იმავე ძალების შემადგენლობით ეს საქმე თავდება თვენახევრის განმავლობაში...

აი ამიტომაა საჭირო ჯერ **ინტენსიური სამუშაოს შემოღება.** მერე ნამდვილად გონებრივ მუშაობის კლასიფიკაციის შემდეგ ლაპარაკი დროის ვადიდების შესახებაც.

**ძველი მუშა.**



**შინაგანი ბრძოლა ფაშისტებში.**

უკანასკნელი არჩევნების შემდეგ ფაშისტებს შორის ურთიერთ კავშირი, დამოკიდებულება გაუარესდა. მოხვდნენ თუ არა პროვინციელი ფაშისტები სატახტო ქალაქში დეპუტატების რწმუნებებით და დაინახეს თუ არა თავიანთი თვალით დიდი ფაშისტები და მათ შორის მუსოლინი, რომელნიც მათ წარმოედგინათ ღმერთებათ, წინანდელი ღმერთები მათ თვალში გადაიქცნენ უბრალო მომაკვდავ ადამიანებათ, და თვითუფლი პატარა ფაშისტი ახლა ოცნებობს მინისტრის პორტფელის მიღებაზე მაინც თუ მეტის არა. მათ პატივმოყვარეობას არაერთარი სახლვარი არ აქვს.

ასეთი პსიქოლოგიური განწყობილება ამ თავზედ უფიც ახალგაზრდა დეპუტატებისა კმინის ჭორების, დავების და განხეთქილების ატმოსფერას და მართლაც, ჯერ კიდევ პარლამენტის გახსნამდე ფაშისტ დეპუტატებმა დაიწყეს თავიანთი „ლირსების“ გამოჩენა, ამ სახის ვარჯიშობამ გამოიწვია დასურულბელი სკანდალები. იმ ზომამდე განვითარდა ეს სკანდალები, რომ მუსოლინიმ, რომელიც იმ ხანებში სიცილიაში მოგზაურობდა, საჭიროდ დაინახა რომში დაბრუნება. ამ პირველ სკანდალს შედეგად მოყვა რევიზიონისტული ოპოზიციის ლიდერის მასიმო როკას პარტიიდან გამორიცხვა.

რომ ყველაფერი ამის მიზეზი ნათელი გახდეს მოვიყვანოთ შემდეგ: 1922 წ. რომზე შეტევის შემდეგ ფაშისტები გაიყვნენ ორ ბანაკად: ეგრედ წოდებულ „მხეცურ“ და „კანონიერ“ ფაშისტებად. პირველები მომხრე არიან ძალადობის, ისინი აცხადებენ, რომ არ სკნობენ კანონებს, ვინაიდან ფაშისტური კანონები არც კი არსებობენ. მეორენი კი ამბობენ, რომ რაკი ქვეყნის ფაშისტები განაგებენ, უპირველესად ყოვლისა ფაშისტებმა უნდა დაიცვან კანონები. ამ კანონების ნიადაგზე მდგომარეობს არის მასიმო როკა. მუსოლინი კი ამ ორ მიმდინარეობის შორის მთხერხებულად აძვრენს თავს და ხან ერთისკენ იხრება და ხან მეორისკენ, ძალა-უფლების საჭე კი მტკილედ უჭირავს ხელში. პირველად ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს დაეტაკა ჯერ-კიდევ არჩევნებამდე. ამ შეტაკების დროს მუსოლინი თითქოს როკას მხარეზე იყო, მაგრამ პარტიის უმრავლესობა კი „მხეცთა“ მხარეზე აღმოჩნდა. ამიტომ როკა მაშინ სამი თვით გამორიცხეს პარტიიდან.

ნ თვის შემდეგ, როცა მუსოლინი რომში არ იმყოფებოდა, ბრძოლა ამ ორ ჯგუფ შორის კვლავ განახლდა. რევიზიონისტებმა მოითხოვეს არა მარტო პოლიტიკური კურსის შეცვლა, არამედ ფინანსთა მინისტრის გადაყენებაც. ეს იყო აშკარა კამპანია ძლიერი კომერციული ბანკის წინააღმდეგ, რომელსაც აბრალებდნენ ფაშისტების პოლიტიკური ძალის თავის მიზნებისათვის გამოყენების ცდის მოწყობის და სხვა მახინჯიკების საშუალებით ამ ბრძოლაში როკა შეუერთდა ავანტიურისტ რაკის, რომელიც დიდი ხანია, რაც კომპანიას აწარმოებს ფინანსთა მინისტრის და კომერციული ბანკის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა გარემოებამ დაუკარგა რეპუტაცია როკას და ის გამორიცხულ იქნა პარტიიდან. მუსოლინიმა გადასწყვიტა შებრძოლებოდა სასტიკად რევიზიონისტების მიმდინარეობას, რადგანაც მას არ უნდოდა კომერციული ბანკის და ფინანსთა მინისტრის სახელის გატეხა. რომ მას ყური დაეგლო როკას ბრალდებებისათვის, მაშინ პასუხისცემაში უნდა მიეცა მთელი რიგი გამოჩენილი ფაშისტებისა, ეს კი არ იყო სახიერი და როკა პარტიიდან გამოავლეს.

იტალიის პალატა გაყოფილა რამდენიმე ჯგუფად: კომუნისტები, მაქსიმალისტების სოციალისტები და რესპუბლიკანელები სხედან უკანასკნელ სკამებზე მარცხენა მხრიდან. ახლა ფაშისტებმა გადაწყვიტეს ამ უკანასკნელ სკამებზე უნდა დაჯდნენ ოთხი ფაშისტი, რომელნიც

კონტროლს გ-უწევენ მემარცხენეებს. ამ პოლიტიკომა აქტმა გამოიწვია მთელი მემარცხენე ჯგუფის ენერგიული პროტესტი. დეპუტატმა მოდილიანმა მოითხოვა ამ უმსგავსო დადგენილებების გაუქმება. პარლამენტის უმრავლესობა მოდლიანის მოთხოვნის წინააღმდეგ წაიდა. რჩება ეს განსაკუთრებული „ზედამხედველობა“, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს გაცხოველებული კამათი პარლამენტში.

ფაშისტებში შესდგა კიდევ ახალი ჯგუფი დეპუტატებისა პროფკავშირის წევრთაგან არჩეულების. ამ ჯგუფს მეთაურობს ვინეც ე. როჩინი.

ამ უდისციპლინი გამოსვლამ დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია.

ამბობენ, რომ ამ ჯგუფს ფარულად მუსოლინი უჭერს მხარს და საპროცების დროს ფიქრობს მასზე დაყრდნობას.

ერთი კი აშკარაა, რომ ფაშისტ დეპუტატებს შორის დიდი განხეთქილებაა. ეს არის ანარეკლი და გამოკრთომა იმ მდგომარეობის, რომელიც შექმნილია ფაშისტურ პარტიაში. ზოგიერთ მათგანს მართლაც უნდა იყოს მუშათა კლასის წარმომადგენელი, უმრავლესობა კი აშკარად და წარმატებით იცავს ბურჟუაზიული კლასის ინტერესებს. ეს უთანხმოებანი და განხეთქილებანი გაღრმავდება თუ ოპოზიციის ახას სათანადო გამოიყენებს.

იზრდება და საკმაო წარმატებით ვითარდება სტუდენტთა ახალი ორგანიზაცია „თავისუფლებისაკენ“. სტუდენტთა უმრავლესობა ფაშისტების წინააღმდეგია. ეს, ძალიან აწუხებს ფაშისტების მეთაურს, რადგან მან ძალიან კარგად იცის, რომ ფაშისტებისადმი სიმპატიები პირველად უნივერსიტეტებში აღმოჩნდა ფაშისტების ყოფა ქცევა, ძალადობა და პირადი გამორჩენისაკენ სწრაფვა აღეღებებს და აშოთხებს ახალგაზრდობას და ის გადადის ოპოზიციის მხარეზე.

ეს ახალი ძალები დააჩქარებენ ფაშისტების დაშლას.

დიდი განხეთქილებაა რკინის გზელ ფაშისტებ შორის, რომელთაც ჯამეგირები დაუტყდეს, ხლო მალღი ხარისხის მოსამსახურეთ მოუხატეს, ისინი იმუქრებიან გავიციეთ და სხვა ზომით. ერთი სიტყვით იარია მონასტერი.



## შანიშნავი წარსულია

8 მუშის ისტორიისათვის.

ვერ წარმოიდგენს მკითხველი რა საშინელი კითხვითი ნიშანი დაისვა ჩვენს წინ, როცა ჩვენი, უმანხინაიო, გულწრფელ, ამხანაგურ წერილის სპასუსხოდ, როგორც მოწმენდილ ციდან მოწყვეტილი სეტყვა დაგვაყარეს რედაქციამ აუარებელი სპასუსხო წერილები: და როგორის პასუხებით? როგორი კილოთი? რა ბრალდება არ გინდა, რომ ჩვენს საწინააღმდეგო წერილებში არ იყო მოთავსებული „ინტრიფი“, „რენეგატა“, „გადაგვარებული“ „რედაქტორობის თინით“ გატაცებულნი, „მერყეები“, „დეზორგანიზატორები“ და მრავა-

ლი ისეთი მარგალიტები, რაც შეიძლება ზოგიერთა მოწინააღმდეგესაც არ ეკადრებოდეს.

ჩვენი ზრახვა სულ სხვა იყო. სხვათა ვეჩქრობდით, იმედი გვქონდა ამხ. მუშებისადმი მიმართული კითხვები გამოიწვევდნენ კამათს, დებატებს, და თავისმართლებას, რომ პრესის „სიეწროვის“ მიზეზი რეაქცია იყო. ვეჩქრობდით, ჩვენი წერილი ერთი ისეთი რეკალთაგანი იქნებოდა, რომელსაც უნდა გამოეწვია ისედაც ახმაურებულ მუშათა მასებში, მეტი უნარიანობა, მეტი ახმაურება პოლიტიკურ და ორგანიზაციულ კითხვაში, დაინტერესება პრესის და მისი გაუართლებების კითხვები. ასეთ მოლოდინში უტყად, მთელი ურები ლანდღვა გინებისა და დემაგოგიის არტიკურია: ჩვენს წინააღმდეგ დაახლოვებით ორმოცამდე წერილი იქნა მოთავსებული, რასაკვირველია იმ პირების, რომელნიც „რედაქციის მფარველის ხელს“ ქვეშ მუშაობდნენ.

ცოტა არ იყოს პირველმა შემოტევამ, კინაღამ მიხანს მიიღწია და აღებული გეზიდან უკან არ დაგვახევინა, იყო მომენტები, როცა მოწინააღმდეგეთა მოულოდნელის მხრივ შემოტევამ დაბადა ჩვენში ახრათა სხვადასხვაობა და დაბნევა, მაგრამ, მალე მოვედით გონს და მოფიქრებულად აეწონით ჩვენს წინააღმდეგ მომართული წერილების პასუხები, გადავიკითხეთ ჩვენი წერილიც და ღრმად დაერწმუნდით, რომ არაფერი გასაკიცხი ჩვენს წერილში არა ყოფილა: არ ვუწოდებდით პარტიას განხეთქილებისაკენ; არ ვუწოდებდით ვისმე ან რომელიმე ორგანიზაციის გასაკიცხად და სხვა. მაშ რათა გვებდნენ ბრალსა დეზორგანიზაციაში, რენეგატობაში და სხვა? აქ შევერთდით ისევ პირველი დაბნევის შემდეგ და გადაწყვიტეთ, რათაც უნდა დაგვიჯდეს ვიმათილოთ თავი უსაფუძვლო ბრალდებებიდან. ჩვენს წინააღმდეგ პასუხი კი თავისი რიგით შეუჩერებელი მიმდინარეობდა, ყოველდღე და ყველა ს. და ზეუთებში ბრალს ვერსად, რასაკვირველია. „რვა მუშის გაოხსენლას თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა შეიძლება იქიდანაც წარმოვიდგინოთ, რომ ქართული არც ერთი გახეთი ან უკრნალი არ დარჩენილა რომელ მიმართულებისაც უნდა ყოფილიყო ის რომ თავისი დამოკიდებულება არ აღნიშნოს ჩვენს გამოხვლასთან. ასე მაგალითად: ესერების ორგანომ მაშინვე მოგაქცია ყურადღება, დიდი ქება დიდება გვიძღვნა, თანაც აღნიშნა ჩვენი გამოხვლის დადებითი მნიშვნელობა რეკოლიუციონური მოძრაობისთვის, თანაც რედაქციის კარები გავგიღო და გვეპატივებოდა სიამოვნებით დავითობით ადგილსა ჩვენთანაო. არც ესერების პარტია დარჩა ყრუთ „რვა მუშის“ კითხვაში მათაც მოათავსეს დიდი წერილი, რითაც ამტკიცებდნენ მარქსისტულ მსოფლ-მხედველობის. „რუტინას“, როგორც საერთაშორისო მუშათა კლასისთვის შეუფერებლობას, ისე კერძო საქართველოსთვის, მრავალი თვალწარბატი და მომხიბვლელო მარგალიტები გავვიგორეს მაშინ ესერებებმა ქართულ ბებელებადაც მოგვნათლეს და თავიანთ დუქანში შეგვიპატიყეს. აქ-ი ვეღარ მოვიტყინეთ და მათ საპასუხოდ წერილის ავტორობა დავაკისრეთ ამხ. აკაკი მიქელაძეს. ესერების საწინააღმდეგო წერილში დაუზოგველია

კრიტიკა იყო ესფერების თეორიის და ნაციონალური შოვინიზმის ტაქტიკის. საინტერესოა, რომ მაშინ ესფერების მხრივ ჩვენს მისაპატიებლად თ. ლონტი გამოვიდა. ჩვენი პასუხი ფედერალისტებისადმი საუკეთესო პასუხი იყო ყველა იმ მოწინააღმდეგეებისადმი, რომელნიც „რენეგატებს“ გვიწოდებდნენ. გადაწყვიტეთ დაწყებულ კამპანიაში ჩაგბმულიყავით და ახლა-კი მეტის ენერჯით და მართლა დაუფარავი საბუთებით დაგვემტკიცებინა ორგანიზაციების და პრესის ჩამორჩენა, კარჩაკეტოვება. გადასწყდა ერთი საერთო წერილი მთავრავსებელიყო „აზრში“ ჩვენ მიერ დასმული კითხვის გასაღამავებლად. წერილის ავტორობა იკისრა ამხ. მელიტონ არველაძემ. ის წერილი, როგორც მკითხველი მიხვდება „აზრში“ არ დაგვიბეჭდა და დიდი ხეყვნა მუშის გაისუფრებით დაგვიბეჭდა ვახ. „ბათონის ხმამ“.—გამოდიოდა ბათონში მ. საყვარელიძის უახლოესი თანამშრომლობით და ატარებდა მარქსისტულ სახეს. მე დარწმუნებული ვარ რომ არამთუ ფართო მასამ არ იცის იმ წერილების შესახებ, არამედ იმ ამხანაგებსაც-კი გამოჩინათ წაუკითხავად, რომელნიც დაინტერესდნენ და თვალყურს ადევნებდნენ ჩვენს კითხვას. ჩვენს წინააღმდეგ მიმართული „პკა მავას“ ხასიათის წერილებით ატმოსფერა თან და თან გაიქვინთა. აქა იქ გამოჩნდა ჩვენი დასახმარებელი ხმა, ზოგმა წერილებიც ვაგზავნა „აზრში“, მაგრამ გაპარაზებული „რედაქტორი“ წითელ მელანით დაუსუყველად სპობდა მას ზოგ მოქნილ, ცოტა შორბილებულ, ზ. ივაგ არავისებურ წერილებს ბედმა სანახვროდ გაუღიმა; წერილის თავს ბეჭდავდნენ და როდესაც იმ ადგილს მიაღწევდა, სადაც ჩვენი ოდნავი გამართლება მინც გამოსკვივოდა წერილი მოულოდნელად სწყდებოდა და ვაგრძელება გამოურკვეველ დროსთვის იდებოდა, ასეთი ბედი ეწვია ამხ. ოლიშვიადს წერილს „აზრში“. საქართველო არც ერთი კუთხე არ დარჩენილა, სადაც კამიით და სიკრეფით არ გამოეწვია ჩვენს წერილებს, მოგვიდოდა აუარებელი წერილები თანამგრძობ ამხანაგებისგან და გვთხოვდნენ ხმა ამოგველო თავის დასაცავად. თან გვახმევებდნენ, ჩვენც თქვენთან ვართო. ამიტომ გადაწყვიტეთ, ასეთი ამხ. დასარწმუნებლად, რომ კი არ ვაგწმდით, არამედ არ ვეიბეჭდავდნენ წერილებს, ერთი საპასუხო წერილი რომელიმე ქალაქის ორგანიზაციის საშვალებით გადაგვეგზავნა, ერთ-ერთ გაზეთში (მაშინ აზრის გარდა თბილისში გამოდიოდა კვირეული ვახ. „ფიქრი“ შვარციის ხელმძღვანელობით ქ. ახლა-კი წერილის ავტორობა მომანდვს მე. მართლაც წერილი პირადათ მე ჩამოვიტანე ქიათურდან, გადავეცი „ფიქრის“ რედაქციას და თან თბილისის კომიტეტში ჩვენ მომხრე ამხ. დავასმევიც კითხვა წერილის დაბეჭდვის დასაცავად. (რედაქციას კომიტეტის აზრის უქონლობის გამო არა სურდა დაეიბეჭდა ჩვენი წერილი). ამ კითხვის გარეშე თბილისში დამქირდა დასალოგებით ორი კვირის მოკვდა, ვინემ ჩვენმა, მომხრეებმა, კომიტეტში, რომელნიც უმეტესობას შეადგენდნენ, თავისი არ გაიტანეს და წერილიც დაიბეჭდა. ამ წერილის დაბეჭდვამდე კამათი თი-

თქოს მიწურულში იყო, რედაქციები ქვეყანას აყრუებდნენ, რომ ჩვენ ვაგწმდით, აქ-კა გამოჩნდა, რომ არ ვაგწმდით და ამას მოყვა ახალი ეპოპეია ჩვენს წინააღმდეგ. თუ პრესაში ბევრი ამხანაგი ვერ ახერხებდა თავის სიმპატიის გამოცხადებას და ჩვენს რედაქციას სიმპატიურად ყველა ქალაქ-დაბედიდან მოგვიდოდა პარტიულ ამხანაგებისგან თანამგრძობის წერილები, თან გვთხოვდნენ ჩასვლას მათთან კითხვის უფრო ღრმად გასაცნობად. ჩვენს ერთ-ერთ კრებაზე ვადასწყდა მნიშვნელოვან პუნქტებში მისვლა და კრებების მოხდენა. მე მეგრეთი და თბილისი, ამხ. მეტრეველს (ხუციშვილს) ქუთაისი, ლანჩხუთი და სამტრედიი. თანახმად დაეალებინა ჩაველი პირველად ქ. ფოთში, მოხდა ადგილობრივ კომიტეტში, ჩვენი მომხრე წევრების და თანამგრძობ მუშების კრება. კრებას დაესწრნენ მარტო მოწინავე მუშები. ჩემი მოხსენების შემდეგ განცვიფრებაში მომიყვანა მათმა პასუხმა; პასუხი-კი ასეთი იყო: თქვენ უქმაცოფლონი ხართ პრესის და ორგანიზაციის უმოქმედობის და „სიციფროვის“, არც ჩვენა ვართ კმაყოფილი, ამის საბუთად, ჩვენ ფოთელ ამხ. გადაწყვიტეთ საკუთარი, ფართო ნიადაგზე მოწყობილი გაზეთი გამოვეთო. თანამშრომლების მოსაწყვეტად ბარათები უკვე დაბეჭდათ და როგორც ვადმოძებს გ. ლორთქიფანიძესთვის უკვე გაგზავნად მოწვევა. ეს ფაქტი ბრძის დასახმარებელი იყო, რომ „დანის სამეფოში ყველაფერი რიგზედ“ არ იყო. მე დაბეჯითებით მოვთხოვე ფოთელებს შეეჩერებინათ თავიანთი განზრახვა, რადგან ჩვენში „რვა მუშაში“, მწიფდებოდა აზრი საკუთარი გაზეთის გამოსაცემად, რის გარეშეც შეეერთდით ჩვენ და ფოთელები, კრებამ მიიღო ჩემი წინადადება და დაწყებული საქმე გაზეთის გამოსაცემად შეაჩერეს. ფოთიდან გზათ შევიარე ქიათურაში და მერე ტფილისში წამოველი. ტფილისში ყოფნის დროს მრავალი საინტერესო გარემოებანი აღმოჩნდა. ჩემს ორი კვირის აქ ყოფნის დროს არც ერთი საზოგადო კრება, ან წარმოდგენა ან სხვა რამე, სადაც თავს იყრის საზოგადოების ნაწილი არ მახსოვს ისე ჩატარებულყოფს, რომ „რვა მუშის“ გამოსვლის შესახებ ბაასი ან მსჯელობა არ გამართულიყო. როდესაც ჩვენი ამხანაგები ჩვენ თავს აცნობდნენ რომელიმე ახალ ამხანაგ საუვეტიესო და საერთოდ მიღებული რეკომენდაცია იყო „ეს არის ერთი რვა მუშათაგანია“—ო და ამასთან უცნობი ამხანაგის სახეზედ იხატებოდა ცნობის-მოყვარეობის სასიამოვნო ღიმილი. მე დავბრუნდი ქიათურაში ჩემი მოგზაურობის ჯამის გასაქვებლად ამხ. წინაშე. აგრეთვე დაბრუნდა სველიც, ერთ-ერთ ჩვენს კრებაზედ ვაკეთდა მოხსენებები ჩვენი მზავრობა და მიღებული წერილობითი თანამგრძობებს შესახებ. აქ-კი როცა საერთო სურათი დაიხატა ჩვენი ე. წ. „რვა მუშის“ ძალების რაოდენობისა, მათ დაყენებით მოითხოვეს, რომ დაწყებული ოპოზიცია არ შესუსტებულიყო, არამედ მეტი ენერჯია გამოგვეჩინა; ჩვენთვის აშკარა შეიქნა რომ, არჩეული გზა სუსტი და ვასაკიცხი იყო. სწორედ ამ დროს რუსეთიდან დაბრუნდა ერთი პარტიული ამხ. სტუდენტი ა. ტ., რომელმაც მოგვიტანა, გამოგვიც-

ხადა თავისი სიმპატია და გვთხოვა კრებაზე დავესწრო ჩვენი კითხვის გასაცნობად. ერთ-ერთ უახლოეს კრებას დავესწარი ამხ., როდესაც მოისმინა ჩვენი მოსახრებები, სიტყვა აიღო, ბევრი ილაპარაკა ჩვენს სასარგებლოდ: ასეთი სიტყვებით დაასრულა „თქვენ ედავებით პარტიის მესვეურებს, მე-კი საბრალდებლო სკამზე ვსამ ამდენი დანაშაულობისთვის. აქავე ვაგვაცნო, რომ რუსეთის ს. დ. პრესაში „ქიათურის რვა მუშის“ შესახებ რამდენიმე მიკლე შენიშვნები ყოფილა მოთავსებული და შეგვიპირდა, რომ თავის გაბრუნებისას რუსეთში შეეცდებოდა მეტის სიფართოვით, სიმწარით გაეშუქებინა ჩვენი კითხვა. (შემდეგი იქნება).

ჯაფარიძე

# სტასოვა,

როდესაც ამ ერთი კვირის წინათ გაიგე, რომ რუსეთიდან ტფილისში ჩამოსულა სტასოვა, მომაგონდა მთელი რევოლუციონური ალტაყების ხანა, მომაგონდა მთელი რევოლუციონურის თავანწირვით, წმინდა რევოლუციონური ცეცხლით აღგზნებული, მაგრამ წამების და გოლგოთას გზაზედ სოციალიზმის დროშის ტარების სიმძიმით დაცემული ამხანაგები. მომაგონდენ სხეულები, რომლებმაც გოლგოთაზე შესდლეს ასელა, აიტანეს სახელოვანი დროშა... და მათი წამების მოახლოებისას უტბად დაიგუფუნა ხსნის და განთავისუფლების მქუხარე ხმამ, და წამებისთვის გამზადებულნი მსხვერპლნიც ტრიუმფით დაბრუნდენ გოლგოთადან. ასეთ ფაქტების დროს მის ცენტრში ტრიალებს სტასოვა. იგი ავიდა გოლგოთაზე, მაგრამ, ჯალათებმა ვერ მოასწრეს მისი წამება... და ხმამ „ტვირთ მიძინეო აღზღვეთ, ისიც დააბრუნა გოლგოთადან. მე მინდა მკითხველთ გაუხიარო სტასოვას ტფილისში ყოფნის მხოლოდ ორი მომენტი; რიცხვით ორი, მაგრამ ღირსებით ბევრის მთქველი: 1912 წელს, მიძინებულ მუშათა და პარტიულ მუშაობაში ვადატეხა მოხდა. რუსეთში ამოძრავებულმა მუშათა კლასმა ინერციულად ამოქმედა საქართველო-ტფილისიც. შეერთებული იყო ორი მამოძრავებელი ფაქტორი: კამპანია ლენის ამბებზე და მე-4 სახელ. სათათბ. არჩევნები. წვერი ვიყავი, ტფილისის ოლქის ცენტრ. საარჩევნო (სახელ. სათათბიროს.) კომისიისა. ლენის ამბების გარეშე მოარავითარი პრაქტიკულ-პრინციპიალური განხეთქილება არა ყოფილა მეკებსა—და ბეკებსა შორის, მხოლოდ სახ. სათ. არჩევ. მოხდა განხეთქილება. ბოლშევიკებმა ანუ ბეკებმა, მანამდე სუსტი და უჩინარი სეპარატიული კომიტეტი ამოძრავეს, თავი მოუყარეს საუკეთესო ძალებს და დაგვიპირდაპირდნენ. ორგანიზაციულად და დებარებენ თითქმის ყველა მნიშვნელოვან საწარმოვო დარგებში შექმნეს იაჩეიკები, ძალას წარმოადგენდნენ. ემზადებიან სახ. სათ. დამოუკიდებლად გამოსვლას, საკუთარი ბეკი დებუტატის წამოყენებას, ჩვენ ჯერ ვიცინით, ხუმრობა გვეკონია, არაფრად ვაგვტბებეკებს და საკუთარ მუშაობას ვიწყევით. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ ვიგრძენით, რომ ბეკები სასაცილოდ არ ეწყობოდნენ. უბაბეკილილება ისეთი იყო, თითქოს აქამდე უჩინარი

ძალა რაღაც მანქანებით მოულოდნელად ამოძვრა მიწიდან, გამოგვექიმა წინ და გვეუბნება „მეც ძალას წარმოვადგენ, ანგარიში გამიწიეთ“—ო, დარწმუნებული ვიყავით, რომ სახ. სათ. არჩევნებში შეიძლება გამოსულიყვნენ როგორც დამოუკიდებელი ფრაქციული ორგანიზაცია, მაგრამ ხმებს მაინც ჩვენს კანდიდატს მისცემდნენ. ვფიქრობდით ვერც ორგანიზაციულად და ვერც პერსონალურად ჩვენს კანდიდატს ბრძოლას ვერ გაუცხადებდნენ, ჩვენი კანდიდატი იყო კ. ჩხეიძე. მაგრამ მოვტყუვდით, გავიგეთ, რომ ბეკები საკუთარ კანდიდატს აყენებდნენ—ბ. მდივანი. ესლა-კი გადავწყვიტეთ ანგარიში გავგეწოთ და მოლაპარაკება გავაბით. არჩევნების გარშემო მოლაპარაკებას ვაწარმოებდით ტფ. კომიტეტის და საარჩ. კომ. სახელით მე და ერთი ახმ. კრებები დანიშნული იყო უმთავრესად სოლოლაკში ჩვენი „ორიენტაცის“ მომხრე ბურჟუაზიაში. ბეკების მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებდა უმთავრესად სტასოვა, დამხმარებებს კი იცვლიდა. მოლაპარაკების პირველ კრებაზე მე და ჩემ ახმ. დაგვაგვიანდა ერთი საათით ნახალადვე ერთ სავალდებულო კრებას შევეჩიით. მშვიდობიანი ვიყავით, ვიყიდეთ გზაში ცარიელი პურები და კრებაზედ პურის ჭამით შევევლით, სტასოვამ რომ დაგვიანა, უხმოვდ ვავიდა მეორე ოთახში და ერთი წუთის შემდეგ ორი ქიპა ყავათი დაბრუნდა... კრება ჩვენ გველოდებოდა. დაიწყო ის დებატები, რომელზედაც ისე უხვად ოხუნჯობდნენ ხოლმე ანტი მარქსისტული პარტიები, კრებამ მიზანს ვერ მიაღწია და ოთხი საათის კამათის შემდეგ მეორე კრება დაგვიანიშნენ, ისევ სოლოლაკში. ვერც მეორე კრება გამოდგა ნაყოფიერი და სიტყვიერმა დღეულმა უნაყოფოთ ჩავვიარა... მანამდე ღვთის ანაბარა მიტოვებული ხალხი ეხლა მოგვიგონა ოკამ და ერთი ახმ. მოგვიგზავნა, მოლაპარაკება ეხლა იმას დაევალებოდა. ამის შემდეგ სტასოვას გზებდობდი მხოლოდ იმ ჯგუფის ან იაჩეიკის კრებებზედ, რომლის წითლების უფლებასაც ერთი მეორეს ვედავებოდით და თვითველ პარტ. ამხანაგს ხელიდან-ხელში ვგვლეჯდით.

ასეთ პირობებში გავიცანინე სტასოვა, დაუდგარი რევოლუციონერი, მოძრაიე ხასიათის, მაგრამ სწორი და ფაქიზი ხასიათის ადამიანი. არც ერთი იმ დროინდელ ბოლშევიკს, ვისთანაც მომხდენია შეხვედრა, ისეთი გავლენა არ მოუხდენია ჩემზე, როგორც სტასოვამ. კითხვის სწორი მიდგომა კამათის დროს, დემოკრატიის უარყოფა მოწინააღმდეგის თავზაზიანად მოპყრობა აი ის ღირსებანი, რამაც მოუპოვა სიმპატიო ჩემში ამ ადამიანს.

მეორე მომენტი: მეკები ხუდადოვის ტყეში „ჩაეცივდით“ (პარტ. ტერმინით „პრაგალი“ მოგვიხედა). რამოდენიმე კვირის შემდეგ მეტეხში მოიყვანეს ბ. მდივანი, გვესიამოვნა, მასთან ერთად მოიყვანეს ერთი ახმ. მეტრეალი ბოლშევიკი, სამწუხაროდ გვარი დამავიწყდა, მან გადმომიტოვა რომ ჩვენს შემდეგ, ბეკები „ჩაეცივნულან“ „ტენიკით“. დამეპირნათ სტასოვა, ბ. მდივანი ს. სანდარიანი და კიდევ სხვები.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მეტეხის „სატუსალოდან“ ორთაქალის „ბაღებში“ გადმომი-

# №-ს

შხამს ნუ ანთხევ... ნუ სისინებ... კბილთა ღრეკით ნუ ჰყრი დორბლებს ამოა... შენ რას ავებ ისტორიის ჩარხის ბორბლებს...

ჩემზე უფრო შენ გტანჯავდა ერის წყლული და იარა და სამშობლო ჩემზე უფრო შენ გიყვარდა?—ოი, არა—

—და ნუ ანთხევ შენ ასე შხამს... ნუ სისინებ გველის ენით თორემ, იცი, მეც შენსავით შევიპყრობი შენი სენით

ღე მე—მაგრამ... შხამს ნუ ანთხევ... კბილთა ღრეკით ნუ ჰყრი დორბლებს...

უკან ვერვინ დააბრუნებს ისტორიის ჩარხის ბორბლებს“ როს მოგვადგა კარზე „მეტერი“ (ასე გეწამდა ყველას მაშინ).—

—მოგაგონდა: ცოლი, შეილი—ამოგვეშორდი ჩუმად გზაში... თებერვლის ღამის ყინვა, ფილოლში გველის კენა,

ტყვეთ ჩავარდნა, ლიხზე დაჭრა არ გხდომია ერთხელც შენა, მიოვონე: ზაქათალა, სანაინი, ტაბახმელა...

არ გხდომია იმიტომ, რომ: შენ იყავი მარად მელა — და დღეს, როცა ჩვენი მხარე ყვავილებით იქარგება

—ეს შენი თქმა და სისინი არავის ესმის, იკარგება... შხამს ნუ ანთხევ... ნუ სისინებ... კბილთა ღრეკით ნუ ჰყრი დორბლებს... უკან ვერვინ დააბრუნებს ისტორიის ჩარხის ბორბლებს.

გაროლდი.

ყვანეს. ჩემდა მოულოდნელად გზებდები ერთ ტრამვაიულ ზეინკალს, ბოლშევიკ სტასოვასთან დაახლოვებულს, დაპატიმრებული მეგონა, მაგრამ ლაპარაკში გამომიტყდა, რომ ტრამვაის ქარხნისთვის თავი დაენებებინა და ორთაქალის ციხის სახელოსნოში დაქირავებით მუშაობდა იმ განზრახვით, რომ დაპატიმრებული სტასოვა იქნებ როგორმე „გააპაროს“. მე ცოტა არ იყოს კითხვითი ნიშნით შევხედე. ვილაპარაკეთ, სანამ ციხის მეთვალყურე დაგვაშორებდა. მისი ლაპარაკი მარტო სტასოვას გარშემო ტრიალებდა.

ნახვის დღე არის, გამომიძახეს შესახვედროთახში, გზაში შორიდან თვალი მოეკარი მიმავალ სტასოვას, მისკენ გავიწიე, დაუძახე... მაგრამ ზედამხედველი წინ გადამელობა და სტასოვა კარებს მოეფარა.


მეორე დღეს ისევ მეტეხის „სასტუმროში“ დამაბრუნეს.

გადასახლებაში გავიგეთ, რომ თბილისში „ჩაეცივნულ“ ბეკების დიდი გასამართლება ყოფილიყო. პეტერბურგიდან ჩამოსულიყო სტასოვას მამა ცნობილი ვეჟილი.

მსჯავრი რამდენადაც მახსოვს სასტიკი შუარის-ძიებას უფრო წააგავდა, ვინემ დასჯას, და იგი სუსტი აგებულობის სპანდარიანმა ცეცერი შორს ცეც ქვეყნებში და სამუდამოდ ჩაქრა მისი სპეტაკი რევოლუციონერი ლამპარი.

მხოლოდ სტასოვასი—კი აქამდის არაფერი ვიციოდი. ბეერსა ვკითხავდი. ვკითხავდი რუსეთიდან დაბრუნებულ ახმ., მაგრამ ვერაფერი გავიგე მის შესახებ და აი ეხლა მან აღბად მოიგონა ის ტელეფონის ცოცხალი, და მშორგავი, რომელიც ეგრე წააგავს სტასოვას დაუდგარი რევოლუციონერ სულს.

ანდრე.



## კულტურული მუშაობა სოფლად \*).

1. სოფელი ეხლა გზაჯვარედინზე სდგას, ის გარდატეხას განიცდის, ეხლა ეწყობა მისი ახალი სახე. იმისაგან, თუ როგორი იქნება ეს ახალი სახე, დამოკიდებულია საბჭოთა ხელისუფლების და ჩვენი პარტიის შემდეგი ბედი. ამიტომ ამ ეჟამთ სოფლათ მუშაობა ერთ-ერთ მნიშვნელოვანი და სასწრაფო მუშაობათაგანია.

2. სოფლის გასინჯვა და გამოკვლევა, რომელიც მოახდინა უკანასკნელი დროის განამლობაში პარტიამ, პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობამ და კომპაგვირმა, ამტკიცებს იმას, რომ სოფლის კულტურული დონე მეტად დაბალი სდგას, რომ ჩვეულებრივი აგიტაცია და პროპაგანდა ვერ აღწევს სოფლამდი იმის გამო, რომ გაზეითი და წიგნი

\* რეზოლუცია მიღებული რ. კ. პ. მე-3-მე ყრილობაზე.

არ მიდის სოფელში, ამ ვაზეთებში და წიგნებში სუსტათ არის გაშუქებული სოფლის ყოფა-ცხოვრება და ვლენებისათვის ისინი ვუგებები.

3. ჩვენი სოფლის ეხლანდელ კულტურულ დონის პირობებში ყოველგვარი პოლიტიკური მუშაობა სოფლათ დაკავშირებული უნდა იქნეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის და ელემენტარულ ცოდნათა გავრცელების საქმესთან; ჩვენს მუშაობას სოფლათ ხაფუძელათ უნდა ღაედის სოფლის კულტურული დონის ამაღლება.

4. ახმ. ლენინი თავის უკანასკნელ სიტყვებში არაერთხელ აღნიშნავდა იმას, რომ შემდეგი წინსვლა სოციალიზმისკენ შესაძლებელია მხოლოდ სოფლის კულტურული დონის ამაღლების ნიადაგზეო. პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა სოფლათ ეხლა ყველაზე

უფრო საჭირო საჭმეა კომუნისტების გამარჯვების თვალსაზრისით.

5. სოფლის გამოღვივება, საშუალო და უსახსრო გლეხობის ლტოლვა გაერთიანებისა, საკუთარი მეურნეობის აღდგენისა და საერთო კულტურული დონის ამაღლებისაკენ, რომელთაც ადგილი აქვს მე-12 ყრილობის შემდეგ, მტკიცე ხელსაყრელ პირობებს ქმნიან სოფლათ კულტურული მუშაობის წარმოებისათვის.

6. ის, რაც უხლა კეთდება სოფლათ პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის წარმოების სფეროში, ცოტა და ეს მუშაობა სწარმოებს მეტათ არა გვემარჯვინებოდა და ხშირათ არა მიზან შეწონილათა კი. ძაღები და საშუალებები დაქაჩული და დანაწილებულია და ისინი ნაკლებ შედეგებს იძლევიან, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა, თუ ჩვენ გვექნება საერთო გეგმა.

7. საჭიროა გვექონდეს სოფლათ პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის წარმოების ნათელი გეგმა, რომელიც პარტიის მიერ უნდა იქნეს დამტკიცებული, შემდეგ კი გაერთიანებული უნდა იქნეს ყველა ძალები ამ გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად.

8. დასაყრდნობ პუნქტათ, სოფლათ წარმოებულ მიერ პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის ცენტრათ უკანასკნელმა პარტიულმა ყრილობებმა სცენეს სათემო ქობი-სამკითხველო. საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა იქნეს დამთავრებული საორგანიზაციო მუშაობა, ამ სათემო ქობ-სამკითხველოს გარშემო უნდა იქნეს თავმოყრილი ყველა ძალები, ხელმძღვანელობა უნდა გაეწიოს თემში (კოლასტი) არსებულ ყველა ბიბლიოთეკებს, სალიკვიდაციო პუნქტებს, წრეებს და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს.

დრომ, რომელიც გავიდა მე-12 ყრილობის შემდეგ, დაგვანახვა, რომ სწორ ნიდაგზე დაყენებული სათემო ქობ-სამკითხველო (რომელიც ხელსაყრელ პირობებში უნდა გადაიქცეს სახალხო სახლათ) ნამდვილათ მეტათ დიდ მნიშვნელოვანი ცენტრია, რომელიც უკვე ეხლავე ახდენს სერიოზულ გავლენას სოფლის კულტურულ ცხოვრებაზე. უახლოესი ამოცანაა — განვითარებული და გამტკიცებული იქნეს ეს მუშაობა.

9. ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მუშაობათ ქობ-სამკითხველოში უნდა იყოს ცნობების მიცემის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) მუშაობა ამ მიზნით მოწყობილი უნდა იქნეს ცნობების მიმწოდებელი მაგიდა. მუშაობა უნდა დაეყრდნოს ქობ-სამკითხველოს ბიბლიოთეკის მტკიცე ჩამოყალიბებულ ნაწილს, წრეების მუშაობას, რომელთაც უნდა ჰქონდეთ დაწესებულებით დამუშავებული პროგრამა, წერაკითხვის უკოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტს და მოზრდილთა ყოველგვარ სკოლებს, რომლებშიც შეესებოდა უნდა იყვენ მოკლე ვადიანი პრაქტიკული კურსებით.

გაზეთებს წაკითხვა, სოფლის კორესპონდენტის მუშაობა, რომელიც ასწავლის გლეხებს მათ გარშემო მომხდარ ამბების შეფასებას და რომელსაც ერთგვარი სიციხველ შეაქვს სოფლის ცხოვრებაში, — ასეთია ქობ-სამკითხველოს ძირითადი მუშაობა. ქობ-სამკითხველობმა თავისი მუშაობა უნდა შეავსოს ბიბლიოთეკებ-

თან დაკავშირებით და მეზობელ სოფლებისათვის წიგნებისა და გაზეთების მიწოდებით.

10. არავითარი კულტურული მუშაობის წარმოება არ შეიძლება სოფლათ, თუ ის არ დაუკავშირდა ქობ-სამკითხველოს, რომელიც აერთიანებს მთელ პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობას თემის ფარგლებში. სათემო პოლიტიკურ-განმანათლებელ ცენტრის მუშაობის გასაძლიერებლათ საჭიროა, რომ ამ ცენტრთან მოეწყოს ქობ-სამკითხველოს საბჭო, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ გლეხების, აღმასკომის უფრედის, რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის, კოოპერაციის და განათლებისა და მიწა-წყის მუშაკების კავშირთა წარმომადგენლებმა.

11. საჭიროა, რომ პროფკავშირებმა მხედველობაში მიიღონ ამ ეპათ სოფლათ მუშაობის წარმოების საერთო პახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და მონაწილეობა მიიღონ საერთო მუშაობაში საერთო გეგმის მიხედვით. სოფლის კულტურული დონის ამაღლების საქმეში პროფკავშირებს შეუძლიათ დიდი როლი თამაშონ, თუ ისინი ამ შემთხვევაში სწორ პოზიციას დაადებენ.

12. პროფკავშირების სასოფლო მუშაობაში დიდ როლს ითამაშებს განათლების მუშაკთა კავშირი. იმ პირობებში, როდესაც მასწავლებლობაში ხდება პოლიტიკური გარდატეხა სოფლის მასწავლებელს შეუძლია გახდეს აქტიურ კულტურულ ძალათ სოფლათ საბჭოთა საზოგადოებრივობის ჩამოყალიბების საქმეში, თუ განათლების მუშაკთა კავშირის ადგილობრივი უფრედები გამოიჩენენ სათანადო ენერჯიას და ინიციატივას. ამიტომ უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიეცეს იმას, რომ სოფლის მასწავლებელი ჩამოული იქნეს პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობაში და მას მიეცეს ამ მუშაობისთვის საჭირო პოლიტიკური მასალა (წიგნი და გაზეთი).

13. სრულიად რუსეთის მიწა-წყის მუშაკთა კავშირის და მიწა-მომქმედების სახალხო კომისარიატის საშუალებით ჩამოული უნდა იქნეს პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობაში აგრანომი და მიწის მზომელი; შემოღებული უნდა იქნეს მათი მიმავრება განსაზღვრულ ქობ-სამკითხველოებთან.

14. აუცილებელია, რომ განათლების სახალხო კომისარიატმა, ჯანმრთელობის კომისარიატმა და სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატმა თავისი ძალები მოახმარონ პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის ერთიანი გეგმის გატარებას სოფლათ.

15. წითელი არმია ყოველის მხრივ გამოყენებული უნდა იქნეს სოფელთან კავშირის დაქერის საქმეში. შევებულემაში წასულ წითელ არმიელებისა, ტერიტორიალურ ნაწილების კადრების შემადგენლობისა, იმ ახალგაზრდებისა, რომელთაც ჯერ კიდევ არ ეხებათ ჯარში გაწვევა და წითელ არმიელების საშუალებით სოფელი უნდა დაუახლოვდეს საბჭოთა სახელმწიფოებრივობის მიმდინარე ამოცანებს.

16. სოფლათ ფართო პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობის წარმოება უახლოეს წელში უნდა გახდეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დამკვერელ ამოცანათ. პოლიტიკური განათლების მთავარმმართველობამ უნდა გააერთიანოს

ამ მიმართულებით ყველა სახელმწიფო და პროფესიონალურ ორგანიზების მუშაობა, ამასთანავე პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობა და მისი აპარატები ადგილებზე უნდა სცდილობდენ თავი მოუყარონ ყველა ძალებს და საშუალებებს ერთიან და შეთანხმებულ გეგმის საფუძველზე. უკანასკნელში მთავარი ყურადღება მიექცეს ქობ-სამკითხველოს გაძლიერებას.

ამ მიზნით, პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობამ ყველა თავისი ღონისძიებები, სახელმწიფო და პროფესიონალური ორგანიზების და კულტურულ-განმანათლების ძალები უნდა წაიყვანოს უმთავრესათ შემდეგი მიმართულებით:

ა) დაწვრილებით შემუშავებული უნდა იქნეს ქობ-სამკითხველოს ნორმალური კატალოგი და დამატებით კატალოგები ცალკე საკითხების შესახებ;

ბ) გამოცემული უნდა იქნეს ბიბლიოთეკის კომპლექტისთვის საჭირო წიგნები;

გ) სათანადო კომპლექტის შედგენა და მათი დაგზავნა ადგილებზე.

დ) მომზადებული და გადამზადებული უნდა იქნენ საბჭოთა პარტიულ სკოლის, სათანადო ტექნიკუმების და მოკლე ვადიან კურსებ-კონფერენციების საშუალებით ქობ-სამკითხველოების ხელმძღვანელები;

ე) პოპულარული სახელმძღვანელოების გამოცემა იმ მუშაკებისათვის, რომლებიც პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობას აწარმოებენ სოფლათ და

ზ) ქობ-სამკითხველოს მუშაობაში ჩამოული უნდა იქნეს სოფლის საბჭოებში, გლეხთა საერთოერთო დახმარების კომიტეტებში, პარტიაში, კომკავშირში, ქალთა განყოფილებაში და პროფკავშირებში გაერთიანებული სოფლის მოსახლეობა.

17. სამაზრო ბიუჯეტი აქამდე მეტად მცირე წვილის იღებდა პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობისათვის სოფლათ. სათემო ბიუჯეტი სრულებით არაფერს არ ხარჯავს ამ მიზნისათვის. საჭიროა მტკიცე დირექტევა:

ა) გადიდებული უნდა იქნეს სამაზრო ბიუჯეტის წვილი სოფლის პოლიტიკური განათლების საქმეში და ამასთანავე სამაზრო ბიუჯეტში შეტანილი უნდა იქნეს ხარჯები ქობ-სამკითხველოების გამგეების შესანახავათ იმ ანგარიშით, რომ თვითეულ თემში უნდა იყოს თითო ქობ-სამკითხველო; სამაზრო ბიუჯეტში უნდა იყოს შეტანილი აგრეთვე სათემო ბიბლიოთეკის გამგის და სათემო წერაკითხვის უკოდინარობის ლიკვიდატორის ჯამაგირი; ბ) სათემო ბიუჯეტში შეტანილი უნდა იქნეს ქობ-სამკითხველოების საწერაწერო ხარჯები და თემში პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის ორგანიზატორის (იმ ანგარიშით, რომ თვითეულ გადიდებულ თემზე მოდიოდეს ერთი ორგანიზატორი) ჯამაგირი.

18. საჭიროა ქობ-სამკითხველოებს წიგნები და გაზეთები მიეცეს თვითღირებულების ფასში; საჭიროა მათი უფასო გადაგზავნა. ქობ-სამკითხველოებს უფლება უნდა მიეცეთ აგრეთვე უფასო მიწერა-მოწერა აწარმოონ დაწესებულებებთან.

ქალაქ მასაში ზანჯლით მოჰკლეს მატეორტი, რომელიც პარლამენტში ილაშქრებდა ფაშისტების წინააღმდეგ.

19. პარტიამ ყოველისა მხრივ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი პირობების შექმნას, როდესაც საშუალებებით და მუშაკებით შეესებულ პოლიტიკურ-განმანათლებელ დაწესებულებებს შეეძლებათ სოფლად მუშაობა გაშალონ ისეთ ფარგლებში, რომელსაც გვიკარნახებს ჩვენ ეხლანდელი საერთო მდგომარეობა.



### ლიზ წაჩილი.

ჩვენს ძველ მასწავლებელ ნოე უორდანიას!

წაეკითხე თქვენი პასუხი, რომელიც ეხებოდა ყოფილ მენშევიკების კონფერენციის მიერ გამოგზავნილ წერილს, რომელზედაც მეც ვაწერდი ხელს. ჩვენ ძალიან გულით გვიინდობდა თქვენი დაბრუნება და იმ ამხანაგებთან, რომელიც მუდამ გვერდში გედგნენ სოციალისტურ გზის ძებნაში, ვემუშავნათ ერთად. თქვენ გეტყობათ აღარ უჯერებთ ამ ამხანაგებს! ეს თქვენი ნება არის.

მხოლოდ მოიგონეთ თქვენი პატარა და უბრალო გლეხი მოწაფის შეკითხვა თეთრ (სპარსულ) ხალაში. მე შეგეკითხეთ: დენიკინმა და კოლჩაკის ჯარებმა, რომ ბოლშევიკები დაამარცხოს, ეს ხომ ჩვენს დამარცხებასაც მოასწავებს და ამიტომ რაღათ ვებრძვი? ჩვენ ბოლშევიკებსა მეთქი?—თქვენი პასუხი იყო: ჩვენთვის გასახარია არ არის დენიკინის მიერ ბოლშევიკების დამარცხება, მაგრამ ბოლშევიკების გამარჯვება უდღერა და რეაქციის მშობლები თვითონ ბოლშევიკები ხდებიან, რომ ვიცოდეთ, რომ ბოლშევიკები რუსეთში საქმეს მოაგვარებდნენ ჩვენ აქ საქართველოშიც ზვიდან გამოვაცხადებთ საბჭოთა ხელისუფლებასო—ეს ჩემი ყურით გამოვიგონია თქვენგან. სხვისგანაც გამოვიგონა კიდევ, რომ ვითომ თქვენ უკანასკნელ დამარცხებას, რომ განიცდოდით ბოლშევიკებიდან, მაშინ გეთქვათ: სჯობია სასიარტხო დამარცხებას, დამარცხებამდე გაეწითლდეთო ე. ი. გავმოვაცხადოთ საბჭოთა ხელისუფლებასო—ეს უკანასკნელი გინდა მართალი არ იყოს, რას იტყვი იმაზე, რის მოწაფე მე თვითონ ვარ. გლეხი ვანო მაისურაძე, ტურა, რომელიც არც თქვენგან მოითხოვდა პოლიტიკურ მუშაობისთვის სასყიდელს და არც ბოლშევიკებიდან მოუთხოვია რამე, მე გეტყვით და დარწმუნდით, რომ საქმე როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურათ სწრაფის ნაბიჯით უმჯობესდება; ის და აკლია, რომ ყველა ძველი სოციალისტები დაუბრუნდნენ თავიანთ ძველ ოჯახს.—მასწავლებლო ნოე! მე დავრწმუნდი, რომ ლენინი გმირთა-გმირი აღმოჩნდა და მისი გზაც სწორი არის.

თქვენ გვაფრთხილებდით—თქვენი წერილობითი პასუხით,—ნუ უბრუნდებით ძველ ოჯახს, კომუნისტურ პარტიასთან მუშაობას გვიწუნებთ და ამბობთ: ინანებთ—ჩამოშორდით სანამ კიდევ აღარ არისო!—არა, ძამია ნოე, მე პატარა კაცი ვარ და პირადათ თქვენთან ბოდიშს ვიხდი, რომ ვიკანდიერდებით და ვიტყვი კი—გვეყო ინგლისური ნანინათი ძილი, გვეყო წყალწყალა ინფორმაციით კვება—და თქვენც იკმარეთ აქედან, ესე იგი მენშევიკებიდან გამოგზავნილი ფარული ინფორმაციით კვება.—აი

არის ხანძარი და კეცხლის ალი ედება კოშკებს, კედლებს, დაბაზებს და დიქტატორი სისხლით დამთვრალი ხარხარებს და სკლის სისხლიან ვაზებს. კეცხლის ალმური სწვდა ცის სიმაღლეს მოავარაყა, მეფის მანტია. გარბიან ყველა, მაგრამ სასახლეს არ ელის შიში—(გარე უბნებში კეცხლი ანთია). გლადიატორებს სახრჩობელაზე წინ მიუძღვება ჯალათი-მკვლელი (ძარღვების სისხლით იგივე ვერ ძღვება: გაწითლებია სისხლით თვალები) და დაინახეს მეფე ცეზარი— ასე შესძახეს ხმა შესაზარი: „მოგესალმებით სასიკვდილოდ მიმავალები“. ისმის ხარხარი პატრიციების. (ბრძოლა ცირკში)... მოჰკლეს მრავალი და მრავალი კვლავ არის რიგში. ეს იყო მაშინ, რომ ადამიანს სტანჯავდა ორი: ღმერთი და დიქტატორი. — დღეს კი ზმანება და ორეული ტირანების—რომს დასტრიალებს. ვილაც შეშლილი—გადარეული ქუჩაში ხანჯლით დაბრის, ღრიალებს. ჰკლავს და არ სჩინა ქუჩაში მკველი. (რადგან ნერონი არის მფარველი) მკვლელი მკვლელს ეძებს... მკვლელი მკვლელს ეძებს...

გაროლდი.

პატარა გარე კახეთის ხალხი, რომელიც თქვენცა და ჯულელსაც უყვარდა, როგორც მებრძოლი—ყველა ესენი გაურბიან ძველ მენშევიკურ პლატფორმას და იკრიფებიან ხელმეორეთ გარე კახეთის ყოფილი მენშევიკები, ყოფილი გვარდიელები—რომელთაც თვითუფლ სოფელში ჰქონდათ ყრილობები, გამოიტანეს დადგენილებები, მოაწერეს ხელი, რომელიც

იწერებოდა წინათ და იწერება მათი ხელმოწერები დღესაც—ჩვენ გვინდა მუშაობა ადგილობრივ როგორც დღევანდელი ხელისუფლების სასარგებლოთ, ისე მესამე ინტერნაციონალის გასამაგრებლათ. გარე კახეთელი გლეხი

ვანო მაისურაძე—(ტურა)



## ნ. უორდანიას წერილის საკასუხოდ.

ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელის მოწერინი, სავსებით უფრედებით 43-ს პასუხს ნ. უორდანიას წერილზე.

### ხაზში.

- |                                 |                                 |
|---------------------------------|---------------------------------|
| 1. მეცხვარიშვილი ვანო           | 14. გონიტაშვილი თედო.           |
| 2. ნახტურიშვილი ლუკა იაგორის-ძე | 15. მამუჩიშვილი ვანტო           |
| 3. ხუროშვილი დათა               | 16. ირემაშვილი ლაზარე           |
| 4. ქოქრაშვილი სოსია იაგორის-ძე  | 17. სულთანშვილი ლევანი.         |
| 5. მამუჩიშვილი გიორგი უდას-ძე   | 18. გონიტაშვილი გიორგი          |
| 6. დევიძე ვასილი                | 19. ანაშვილი ვაზო               |
| 7. ირემაშვილი ივანე             | 20. ნიკოლაშვილი სანდრო          |
| 8. მეკოშვილი თედო               | 21. ქორქაშვილი სვიმონა თომას-ძე |
| 9. ნაშუტრიშვილი ლუკა ივანეს-ძე  | 22. მაისურაძე ვასილი            |
| 10. თედორაშვილი ივანე           | 23. შავკაციშვილი დათიკო         |
| 11. ნიკოლაშვილი ალექსი          | 24. ჯანიაშვილი დათია            |
| 12. შინჯიკაშვილი ნიკო           | 25. ჩილინდრიშვილი თედო          |
| 13. ზუკაიშვილი სოსია            | 26. ვარძელაშვილი ვიორგი         |
|                                 | 27. ყირმელაშვილი სოსია          |

- 28. მისურადე ვანო
- 29. ხუროშვილი იოსები
- 30. ჭოქრაშვილი გ.
- 31. ნაცვლიშვილი ვანო
- 32. ჭიაბრიშვილი დავით
- 33. ნახუცრიშვილი ალექსი რევაზის-ძე
- 34. ოშაყაშვილი აბალონ
- 35. ხუროშვილი ჭიტა
- 36. ნახუცრიშვილი.
- 37. ჯანიაშვილი გიორგი
- 38. კერესელიძე შაქრო
- 39. ჭორჭაშვილი თედო
- 40. მამულაშვილი გიორგი
- 41. ნახუცრიშვილი დათიკო ევგენის-ძე
- 42. ხუციშვილი იაკოფა
- 43. ციჭურიშვილი გიორგი
- 44. მაკანტეშვილი სოლომონ
- 45. მამუჩაშვილი ივანე ალექსის-ძე
- 46. გოგნივეი დომენტი
- 47. ნალბაშვილი ალექსი
- 48. სულთანისშვილი სანდრო
- 49. გოდერძიშვილი ვანო
- 50. მამულაშვილი ნიკოლა
- 51. ხეჭრელაშვილი დიმიტრი
- 52. ჭოქრაშვილი ნიკო
- 53. მენაბდაშვილი იოსებ
- 54. კონიაშვილი ივანე
- 55. ჯანიაშვილი ივანე
- 56. ბერაშვილი გიორგი
- 57. ქარუმძე კოტე
- 60. ნაცვლიშვილი ილო
- 61. ჩიხაშვილი ვანო

**უჯარმა.**

- 62. შავერდაშვილი შაქრო
- 63. კურატიშვილი იოსებ
- 64. მგალობლიშვილი გაბრიელ
- 65. ფეიქრიშვილი გიორგი
- 66. რევაზიშვილი იასონი
- 67. კიბაბიძე გიგო
- 68. ზლიაძე ისიდორე
- 69. დავითაშვილი ივანე
- 70. ჯავახიშვილი გიორგი
- 71. მეცხვარიშვილი ესტატე
- 72. სუხიაშვილი მიხეილი
- 73. ხეიძე შაქრო
- 74. რევაზიშვილი შაქრო
- 75. აბელაშვილი სიკო
- 76. ყარყარაშვილი პეტრე
- 77. დიდმელაშვილი იაკოფა

**ნორი.**

- 78. წიბაზაშვილი გიორგი
- 79. ქარუმძე გოლა
- 80. ქარუმძე სანდრო
- 81. მესტერიშვილი ანტონი
- 82. ბადრიძე რაქდენი
- 83. ირემაშვილი შაქარია.
- 84. უერთაშვილი ალექსი
- 85. ქობლაშვილი თედო
- 86. ნიკოლაშვილი ილარიონი
- 87. ნიკოლაშვილი ბასილა
- 88. ქარუმძე მიხა
- 89. მესტერიშვილი მიხა
- 90. გაბჯაშვილი ილია
- 91. არწივაძე ალექსა
- 92. მუხიაშვილი პეტრე

**საგარეგო.**

- 93. ესაიაშვილი ფირუზა
- 94. სალთხუციშვილი მიხა
- 95. ლაფიაშვილი აბრია
- 96. მჭედლიშვილი ნიკო
- 97. ხუციშვილი დიმიტრი
- 98. ბაზარიაშვილი ფირო
- 99. დარბაისელი შაქრო
- 100. დრეიძე ფირუზა
- 101. აზარაშვილი კოლა
- 102. კუჭაშვილი სანდრო
- 103. ფირყულაშვილი ბაგრატი
- 104. ალექსაშვილი ვასო
- 105. ბაბილაშვილი ალექსი
- 106. ქაიხოსროშვილი სოლომონი.
- 107. ნარიმანიშვილი დავითი
- 108. შათირიშვილი შაქრო
- 109. კავთიაშვილი ვანო.
- 109. რევაზი ლაზარე
- 110. მამისაშვილი ნიკო
- 111. ჯაფარიძე მიშა
- 112. აზარიაშვილი იაკოფა
- 113. თოფაძე ყარამანი
- 114. ჭიაბერაშვილი იოსებ
- 115. გრატიაშვილი ლევონ
- 116. თედიაშვილი გიორგი
- 117. ულაშვილი სიკო
- 118. ლაფაიშვილი სერგო
- 119. ნაცვლიშვილი იოსებ
- 120. ესაიაშვილი ალექსი
- 121. ფანოზიშვილი აბრამი
- 122. ქურთიშვილი ილია
- 123. ბუზარიაშვილი კოლია
- 124. მჭედლიშვილი ვასილ
- 125. ქურთიშვილი სანდრო
- 126. კოსტაშვილი იოსებ
- 127. სანდრო ხუციშვილი
- 128. თედიაშვილი ერასტო
- 129. დურგლიშვილი ეგნატე
- 130. ბიბილური გიორგი
- 131. ფანოზიშვილი ილია
- 132. გრატიაშვილი ვასილ იავორისძე.
- 133. მეიფარიშვილი დათა
- 134. კურატიშვილი შაქრო
- 135. კერვალიშვილი გიორგი
- 136. აზარიაშვილი ვ.
- 137. დოღმაშვილი ვანო
- 138. ყორღახიშვილი სიკო
- 139. ყარყალაშვილი იოსებ
- 140. გულიკაშვილი
- 141. ცხვარიაშვილი
- 142. ჭიაურელი შაქრო
- 143. ბასილაშვილი ისიდორე
- 144. კავლიშვილი იოსებ
- 145. თვალძე შაქრო
- 146. გოდერძიშვილი ვანო
- 147. ბარილაშვილი დათიკო
- 148. სონიშვილი მიხაკო
- 149. კეკელიშვილი იავორა
- 150. კავლიშვილი მიხა
- 151. ხორიტაშვილი სოლომონ
- 152. კაკუტაშვილი გიორგი
- 153. ბეგიაშვილი გიგო
- 154. ტერმესლუკოვი სედრაკა
- 155. ბარამაშვილი ვანო
- 156. ჭიაბერაშვილი შაქრო

- 157. ბუჩაშვილი სოლომონ
- 158. კანჯარაშვილი ალექსი
- 159. ნაცვლიშვილი ვანო
- 160. ბუჩაშვილი ალექსი
- 161. ბუჩაშვილი ვანია
- 162. ბუჩაშვილი მიხაკო
- 163. მამისაშვილი გიორგი
- 164. ხორიტაშვილი გიგო
- 165. ნაცვლიშვილი დავითი
- 166. მეკოკიშვილი იოსებ
- 167. თარიმანიშვილი თედო
- 168. ღრეუელი მიხა
- 169. ბეგიაშვილი გ.
- 170. კეკელიშვილი იავორა ივანეს-ძე
- 172. კეკელიშვილი მიხა დიმიტ.
- 173. კანჯარაშვილი გორია
- 174. კანჯარიშვილი გვიტია
- 175. თეთრაძე სონკა
- 176. შაქარაშვილი გიგო
- 177. ურიაშვილი გიორგი
- 178. მეკოკიშვილი გიორგი
- 179. თათრიშვილი ვანო
- 180. ბარამაშვილი დავითი
- 181. ოთარაშვილი სონკა
- 182. ოთარაშვილი კოლა
- 183. დიდმელაშვილი შაქრო
- 184. სოლომონ ბეგიაშვილი
- 185. მარინდაშვილი ნიკოლოზი
- 186. ნაცვლიშვილი გიორგი
- 187. ტერმესროპოვი იოსკა
- 188. ფირიკელაშვილი გიორგი
- 189. ბარამაშვილი გიორგი
- 190. მარიდაშვილი იოსებ
- 191. კეკელიშვილი იავორა
- 192. ბეგიაშვილი ფიდო
- 193. დიდმელაშვილი ლ.
- 194. ბასილაშვილი ისიდორე
- 195. ხაბარაშვილი ვანო
- 196. გოდერძოვი ვასილი
- 197. მღვდელაძე ვანო
- 198. ბასილიკაშვილი ვასილი
- 199. ბასილიკაშვილი გორია
- 200. ხორიტაშვილი სანდრო
- 201. ბუჩაშვილი გიგო
- 202. ურიაშვილი გიგო.



**სახლი გლმხ-კატოპისათვის**

გაზეთებიდან გავიგე, რომ ბათუმში აქარიდან ჩამოსულ გლეხ-კაკობისათვის არსებობს გლეხების სახლი, რომელშიაც თავსდება 500-მდე კაცი. ამ სახლში მოთავსებულია სამკითხველო და იურიდიული ბიუროც, სადაც რჩევა-დარიგებას აძლევენ ჩამოსულ გლეხებს ნაფიცი მსაჯულები სრულიად უსასყიდლოდ.

საქიროა თუ არა ისეთივე სახლის არსებობა ტფილისისთანა ცენტრალურ დედა-ქალაქშიაც აუცილებლად. დაგვიანებულიც არის. ტფილისსა ისეთი პირობები უნდა შექმნას აქ ჩამოსვლელ აუარებელ გლეხობისათვის, რომ სრულებით ჩამოაშოროს ადგილობრივ სენდისს მოკლებულ სპეკულიანტებს. დაეაღებებთ, კერძო საქმეებით ან თუ გინდ სავაჭროდ ჩამოსულ გლეხობას უნდა ჰქონდეს საგანგებო სახლი, სადაც შეეძლოს მოთავსება ჩამოსული-

თანავე. არა თუ სახლი, ჩვენ ცალკე, საკუთარი კუთხე-ბაზრის გამოყოფითაც უნდა შევეწყოთ ხელი ჩამოსულ გლეხებს, რომ საქონლიანად არ ჩაუვარდეს სპეკულიანტებს ხელში. ვინ არ იცის თუ რა უმოწყალო წვალებას განიცდის ის გლეხი, რომელიც ვარდება ადგილობრივ ყახვების ხელში. ვინ არ ხედავს მითუმეტეს დღეს იმ მრავალრიცხოვან გლეხობას, რომელიც ჩამოიღის სახელმწიფო სინდიკატიდან ფართულელობის შესაძენათ. აქ ჩამოიღის ბერძენი, თათარი, სომეხი, რუსი, ქართველი და სხვა ეროვნებათა გლეხობა, ბინის უქონლობის გამო ჩერდება შუა ქუჩაში, სინდიკატის წინ, იქ ათენებენ ღამეს ან უფრო კარგ შემთხვევაში ვარდება სპეკულიანტების ხელში და დროს ატარებს სამიკიტნოებში არსებულ ბინებში. ჩამოტანილ გასასყიდ საქონელს კი, რასაკვირველია, ნახევარ ფასად აძლევს იმავე ჩარჩებზე, ასეა ეს ზნეობრივი ზიანი, რომელსაც აყენებს ჩარჩობა და აშორებს გლეხობას ჩვენგან. ეს უკვე ისეთი მტკივნეული ადგილია, ჩვენს სინამდვილეში, რომელიც, რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოვიშორათ თავიდან.

დავარსოთ სახლი გლეხობისათვის, იქვე მივცეთ იურიდიული რჩევა-დარიგება. ამ რიგად ჩამოსულ გლეხს ეცოდინება, რომ აქვს საკუთარი ბინა, სადაც თავისუფლად მიმართავს და გაატარებს დღესაც და ღამესაც.

ძველი მუშა.



აშხ. ა. ლუნაჩარსკი თბილისში

აშხ. ა. ლუნაჩარსკის მოხსენება განათლების მუშაკთა კრებაზე.

კვირას, 14 ივნისს, საოპერო თეატრში, კომინტერნის დაარსებიდან 5 წლის შესრულების გამო განათლების მუშაკთა საერთო კრებაზე აშხ. ლუნაჩარსკიმ წაიკითხა მოხსენება კომუნისტურ ინტერნაციონალზე.

შეგხო რა მოხსენების პირველ ნაწილში საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების ძირითად კანონებს მეცნიერული სოციალიზმის თვალსაზრისით, მოხსენებელი ლექციის მეორე ნაწილში იხილავს მეცხრამეტე საუკუნეში დაწყებულ მუშათა მოძრაობას, ამასთან დაკავშირებულ ინტერნაციონალურ გაერთიანებათა წარმოშობას, მათ გადაჯვარებას. მოხსენების შესამე ნაწილი შეეხებოდა უკანასკნელი დროის კაპიტალისტურ განვითარებას, მსოფლიო ომს, მუშათა მოძრაობის კრიზისს და და მის კვლავ აღორძინებას. შესამე ინტერნაციონალის წარმოშობის შემდეგ. დასასრულ მოხსენებელი ეხება ე. წ. ინტელიგენციის, — გონებრივ შრომის მუშაკთა როლს მუშათა ინტერნაციონალურ მოძრაობაში წინად და დღეს, დღევანდელი რევოლუციის პერიოდში ინტელიგენცია მოხსენებელის აზრით, ყველა ქვეყნებში თანდათან თავისუფლდება ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენისაგან, სტო-

ეს როგორ არის ვერ მიხვდი, როგორი განაჩენია? ამ ჩვენ რამზეი მაკონაღდს სირცხვილი არ შერჩენია მისი მთავრობა „მუშათა“ ლორდების ყავარჯენია (რა ოხრობასა ვირჩევდით... გაშავდეს მათი დღენია) დღედღამ ვზრომობ, ოფლსა ვლერი, ეს შრომა მაინც ფუჭია, ვერ შევიანახე ოჯახი, ვერ გამოვიძიდე კუჭია როცა იესება ფიალა, მედბა ცეცხლის ალები, ამ დროს წინ მელობებიან კავშირთა მაწანწალები. მთხოვენ ბრძოლისთვის ნებართვის და კავშირების დასტურსა, მათ კი მევე და ლორდებთან ბრძოლა არასდროს არ სურსა. ეს როგორ არის ვერ მიხვდი, როგორი განაჩენია? ჩვენი რამზეის მთავრობა ლორდების ყავარჯენია.

„მოწიფული“

ვებს ძველ პოზიციებს და ნაწილობრივად გადადის რევოლუციის მხარეზე, ნაწილობრივად კი რყევას განიცდის.

ინტელიგენციის აზროვნებაში მომხდარი გარდატეხა საკმაოდ ნათლად გამოსჭვივის ევროპის დღევანდელ მხატვრულ ლიტერატურაში, იქმნებიან მთელი ლიტერატურული მიდინარეობანი, რომელნიც გადაჭრით უარყოფენ ძველ ქვეყანას მთელი მისი ატრიბუტებით და სდგანან ახალი ცხოვრების ძიების გზაზე.

მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი კრება მხურვალე ტაშით ჰფარავს აშხ. ლუნაჩარსკის სიტყვას.

მოხსენების მიხედვით მიღებული იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

აშხ. ა. ლუნაჩარსკი სახელმწიფო უნივერსიტეტში

ორშაბათს, 16 ივნისს დღის 11 საათზე. სახელმწიფო უნივერსიტეტის მიპატივებით აშხ. ლუნაჩარსკი საქ. სახ. გან. კომისარ აშხ. კანდელაკთან ერთად ეწვია საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტს. იქ ძვირფას სტუმარს მოეგება უნივერსიტეტის პროფესორა რექტორ პროფ. ავანე ჯავახიშვილის მეთაურობით. აშხ. ლუნაჩარსკის მოწვევის მიზანი იყო მისთვის საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მდგომარეობის გაცნობა ყოველმხრივ. აშხ. ლუნაჩარსკიმ დაათვალიერა ყველა ფაკულტეტების მნიშვნელოვანი კაბინეტები, ლაბორატორიები და სხვა განყოფილებები. საქმის მოგომარეობის შესახებ ახსნა—განმარტებას იძლეოდენ დეკანები და სხვა პროფესორები. განსაკუთრებული ინტერესით იქნა დათვალიერებული უნივერსიტეტის მუზეუმის ყველა განყოფილება. აქ ახსნა განმარტებას იძლეოდენ პროფ. ჯავახიშვილი, სამეცნიერო დაწესებულებათა გამგე ვ. ბერიძე და უნივერსიტეტის მუზეუმის გამგე სერგო გორგაძე. აშხ. ლუნაჩარსკი იჩინდა ყოველ ისტორიულ წერაშალასადმი განსაკუთრებულ ინტერესს. უნივერსიტეტის დათვალიერებამ ორ საათს გასტანა.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების გაწმენდა.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების გაწმენდა, რომელიც დასმულია სადღეისო საკითხად, აუცილებლობას წარმოადგენს. რუსეთში აკადემიური გაწმენდა კარგი ხნიდან იყო დაწყებული, რომელსაც სასურველი შედეგებიც მოყვა, ხოლო ჩვენში კი ამ გაწმენდას ნაკლები ყურადღება ექცეოდა დღემდის.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში დღეს ირიცხება 10, 000 მდე სტუდენტი, რომელიც რიცხვის სიდიდით იწვევს პროფესორის შეფარდებლობას. სტატისტიკური ცნობების თანახმად შეიძლება ითქვას, რომ ომის დროინდელი მდგომარეობასთან შეფარდებით, მოსწავლეთა რიცხვი 100% გაიზარდა, რაც აფერხებს, სათანადო პროფესორის უყურადღებობის გამო საქმიანობის ნაყოფიერებას ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. აქობამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა ისეთ ახალგაზრდობის დატოვებას, რომელიც კომუნისტურად იყო განწყობილი. თუმცა წვირლ ბურჟუაზიული პარტიების დაშლის შემდეგ ამ მხრივ საშიშროება ნაწილობრივ მოხსნილია.

მთავარ მიზეზათ, რომელიც აყენებს ამ საკითხის უახლოეს ხანებში მოგარებას, უნდა ჩაითვალოს რიცხვობრივი სიჭარბე.

გაწმენდის დროს, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები თავის დონეზე დადგეს საქორაო მხედველობაში იქმნას მიღებული უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა 1) სოციალური მდგომარეობა, 2) მათი დამოკიდებულება საბჭოთა ხელის უფლებასთან და 3) აკადემიური მხარე.

ცხადია, რომ პირველ რიგში უმაღლეს სასწავლებლებში დატოვებული იქნება პროლეტარული ელემენტები, რომლის სოციალური მდგომარეობა და დამოკიდებულება ხელისუფლებასთან უკვე საკმაოდ გამორკვეულია.

2-რე რიგში ადგილი დაეთმობათ წვირლ გლეხობის შვილებს, რომლებიც თავიანთი სოციალური მდგომარეობით დაკავშირებული პროლეტარიატთან.



გაწმენდაში უნდა მოყვენ მხოლოდ ისეთები, რომელთა სოციალური მდგომარეობა და პოლიტიკური მსოფლმხედველობა წინააღმდეგ არის მიმართული არსებული ხელისუფლებისა.

მთავარი ყურადღება ამასთანავე უნდა მიექცეს აკადემიურ მხარეს, რომელიც სასურველად ვერ არის დაყენებული.

აკადემიურ წმენდას შეუძლია სასურველი დონეზე დააყენოს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები თავისი მიღწევებით. ამერიიდან ყურადღება მიექცევა კიდევ უფრო, ვინემ აქობამდე, მთლიანად სრულიად საკავშირო რესპუბლიკების მამულებით მუშათა ფაქულტეტებს და პოლიტექნიკუმებს, რომლებიც იძლევიან წითელ სტუდენტებს.

რუსეთში მართო მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლების გაწმენდაში, მოყვა 2000 მდე მოსწავლე. იქ მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო აკადემიური გაწმენდისაკენ.

ჩვენში ზემოთ დასახლებული სამივე პირობა უნდა იქნას დაყენებული წმენდის დროს. ამ მხრივ მუშაობა სწარმოებს, რომელიც უახლოეს ხანებში დამთავრდება.

ზ. ს.



## ოპოზიციის რეპოლიუციონი და კონსერვატივიზმი.

V.

ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხის სეპეტი ჩვენდა საუბედუროდ სხვა და სხვა მახინჯი ცეცხლით ხელში ჩაიგდეს საქართველოში—მენშევიკებმა, სომხეთში—დაშნაკელებმა და ადერბეიჯანში—მუსავატელებმა.

ჩვენ წინა წერილებში ვცვლად შევეჩეთ მენშევიკების „სამირო მოღვაწეობას“ საქართველოში. ახლა კი მსურს აორიოდ სიტყვა ვსთქვა აგრეთვე დაშნაკელებზე და მუსავატეებზე, რათა სურათი უფრო მთლიანი გამოვიდეს და ყველასათვის დასაწახი.

წმინდა რევოლუციონური თვალსაზრისით და სოციალისტური ანალიზით თუ მიუღეკით ჩამოთვლილ პარტიებს, მართლაც ღირსი არ იქნებიან აქ აღნუსხვისა, რადგან მათ ბნელ—ბურჟუაზიან წარსულში, გარდა ჯოჯოხეთური საბუთებისა ვერაფერს ვიპოვიან სასარგებლოს მშრომელ მასისთვის.

მაგრამ, როგორც ზემოთ ვსთქვით, ესენი როგორც მმართველი პარტიები მოექცენ მთავრობის სათავეში, აიღეს საქმე მართვა გამგებლობის და უძღვებოდენ ისე, როგორც მათ მოუპრიანებოდათ.

სომხეთში—ეს დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობა დაიკისრა დაშნაკელებების პარტიამ.

ამ პარტიას თითქმის 30—35 წლის ისტორია აქვს, მთელ თავის არსებობის განმავლობაში არავითარი სოციალისტური პრინციპები არ გაუტარებია ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ინტერნაციონალის ოჯახშიც იყო შეხული.

ამდენი ხნის არსებობის განმავლობაში და განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, დაშნაკელების პარტია არა ერთხელ ამტკიცებდა,

რომ იგი მხოლოდ სიტყვით იყო სოციალისტური და რევოლუციონური, საქმით კი იგი მუდამ ეამს ამჟღავნებდა თავის სახეს, ფიზიონომიას, როგორც ვათხსნიერებელი, შოვინისტურ—კაციქამიური, მუხურისტისტი და ოპორტიუნისტული პარტია.

ამ პარტიას ასულდგმულებდა სომხის კათალიკოზ-ეპისკოპოზები და წვრილი მეწაანურ-ბურჟუაზიულ იდეოლოგ-კარიერისტები, რომელთა ინტერესიც მოითხოვდა პროგრამაში შეტანილ სოციალისტურ ნეშთის მოსპობას, აღმოფხვრას

ამგვარათ, ამ უკაცრავად პასუხია, „სოციალისტურმა“ პარტიამ და მის უპასუხისმგებლო ხელმძღვანელებმა დაივიწყეს, მიაფურთხეს სომხის მუშის, ფუხარა გლეხის კლასიურ ინტერესებს და თავიანთი გაიძვერა, შხამიანი პოლიტიკით პარტიის სოციალისტურათ და რევოლუციონურათ მთავროვნე უბრალე წვერთა სურვილის წინააღმდეგ წაიყვანეს სომხის მშრომელი ფართო მასები სისხლის მღერელ ავანტიურების და აუწერელ უბედურებათა გზით.

თავის გამცემლურ და გაიძვერა მოლატურ მოღვაწეობით პარტიის ხელმძღვანელი წრეები, რომლებიც თითქმის 99 პროც. შეადგენენ უბადურკი კარიერისტები და ავანტიურისტები. პირველ რიგში უმთავრესათ უყენებდენ გამოუცდელ პარტიულ ახალგაზრდობას, რომელნიც მათ შეიტყუეს პარტიაში—პროგრამაში „სოციალისტურ“ პრინციპების შეტანით და დაშნაკელებების რევოლუციონურათ მონათვლით.

ამ საცოდურ პოლიტიკურ მოღვაწეებმაც 28 მაისს 1918 წ. გამოაცხადეს ერევანში სომხეთის დამოუკიდებლობა...

ქარცეხლში გაუღეტილ მკვდრებთა სამეფოში გამოაცხადეს დამოუკიდებელი თავისუფალი „დიდი სომხეთი“, რაც ფაქტიურათ ვაიდექა დიდ საფლავათ სომხის მშრომელი მასისთვის...

იმ დროს, როდესაც დაშნაკელების პოლიტიკური დონკიხოტები და შტრეიკებეხერები „პარლამენტარულ სახელმწიფოში“ ვითომდა ქვეყნის ბედ იღბალზე ზრუნავდენ, ამ დროს ერევნის მთავარ ქუჩაზე ათობით და ასობით ლტოლვილი ხალხი ბუხივით იხრცებოდა და ზვარაკათ ეწირებოდა დაშნაკელებების სისხლიან პოლიტიკას...

აი ამ დროს თავხედი, ცოფმორეული, ყაჩაღი ჰამაზასა შეადღეს კეტით თავს უტრებს „ნორ კიანქ“ (სოც. დემოკრ.) გაზეთის რედაქტორს აშხ. ხაჩ. აფთალბეგიანს, რომელმაც გაბედა გამოვაშკარავებია მუხურისტ ჰამაზასების ბანდიტურ—ზნეფეულებანი და უჩრია მშრომელ მასას, რათა თავი დაეხწია ამ ავაზაკებისგან და შეერთებოდა რუსეთის მშომელებთან.

თუ ამ ეამათ რა „პოლიტიკურ“ მუშაობას აწარმოებდენ მღვდელი დალი-ყაზარები, სხვა და სხვა ჯურის და ჯიშის მხეცი, ბნელითის ქურუმნი „ხმბაპეტები“, რომელთაც პირზე ეცერათ მხოლოდ „დიდი სომხეთი“ და მეტი არაფერი, მგონი დღის სინათლესავით ნათელი იყო ყველასათვის.

ასეთ პირობებში, ასეთ ჯოჯოხეთურ ატმოსფეროში აშკარაა რომ მუშები და გლეხები ვერ მოთავსდებოდენ და ამიტომაც სომხეთში მუდმივი იყო შინაური უთანხობებანი, რომლების წინააღმდეგ მშვიდ მგლების ხორასავით მიუსიებდენ დიდ თუ პატარა „ზინგორებს“ და უმოწყალოთ ანავარდებდენ... იქამდენ მივიდა დაშნაკელების ცინიზმი, რომ სომხეთში სრულიად მოსპეს თავისუფალი სიტყვა და ცენზორებათ დანიშნეს ისეთი პირები, რომლებიც ნიკოლოზის დროის ცენზორებს არამც თუ არ ჩამოუღრდებოდენ, არამედ წინ გაუსწრებდენ. ამ ცენზორ-ყაჩაღების ბრალი იყო, ჰაიკ ახატანი (ცხლანდელი ერევნის პროფსაბჰკოს პასუხისმგებელი მდივანი), როგორც მოლატე („დაფაქან“) გადასახლეს სომხეთიდან და მოკვლაც კი დაუბირეს, რადგან გაბედა „დიდი სომხეთი“—ის გაანტიურისტ-იმპერიალისტების წინააღმდეგ ვალაშქრებდა...

რომელ ერთ მოსთვლის ადამიანი. საილუსტრაციოთ ესენიც კმარა...

მთელი სამი წლის ბატონობის დროს დაშნაკელებმა არ ვაატარეს არც ერთი სოციალისტური პრინციპი: მაგალითად მიწის საკითხი, რომაც დაინტერესებული იყო სომხის მშრომელი გლეხკაცობა, ისევე უარგებდაში დარჩა, რვა საათის საუბუო დღეზე ოცნებობა ხომ ზედმეტი იყო, სწავლა განათლების საქმე მეტათ უმწეო მდგომარეობაში და სხვა და სხვა...

სომხეთში სუფევდა სისხლი და ტრატაროსობა, ხალხი ხელდენ შებოჭილი სისხლის მორგეში იხრჩობოდა და მწარეთ ლოკავდა მვე დედამიწაზე დანთხეულ მლაშე სისხლის წვეთებს: ამას ვერ მოითმენდა ხალხი, მშრომელი მასა და როდესაც გაეცსო მოთმინების ფიალა, მან აღიმადლა ხმა, მიღწე-მოღწეა დაშნაკელების კლერიკალური სისხლის ტახტი და მის ნანგრევებზე აღმართა ძმობა ერთობის, თავისუფლების წითელი დროშა. ამ დღიდან სომხის მშრომელი მასამ ღირსეულათ შეაფასა დაშნაკელებების შეზნეული მოღვაწეობა, საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი მის მეწაანურ და წვირლ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან და შეითვისა რევოლუციონური კომუნიზმის თეორია. დაადგა დაუხოვავ რევოლუციონური კლასთა ბრძოლის სწორ გზას და გამოიჩინა დაუხრეტელი ენერგია, უსახლგრო სიყვარული პროლეტარიატის და ღარიბ გლეხობის ინტერესებისადმი.

მორჩა, გათავდა ბოლო მოელო ყაჩაღობას, ავანტიურას, მუხურების ტრიალს, მღვდლებ დიაკვნების, ეპისკოპოზ-ქათალიკოზების ლოკვა კურთხევას, მათ სახელმწიფოს საქმეებში აქტიურ მონაწილეობას და მის ნაცლად მშრომელ მასამ გაამეფა სომხეთში სრული ძმობა, სიყვარული და მოხუც არარატის მთის წვერვალზე აფერიალა მესამე კომინტერნის წითელი დროშა, რომელიც მედიდურათ და ამაყათ შესცქერის წითელ მოსკოვს.

სომხეთში დაიმხო ტრატაროხი და გამეფდა შრომა...

ივ. დავითანი.



# ახვ. აქსენტი ტაბატაძის ხსოვნას

ამ რამდენიმე დღის წინათ მატარებლით მიემგზავრებოდა სამშობლოში ხაშურის დეპოს ზეინკალი ამხანაგი აქსენტი ტაბატაძე, რომელიც მოულოდნელათ ჩავარდა მატარებელში და გადასკრა ორივე ფეხი, რამოდენიმე საათის შემდეგ ამხანაგი აქსენტი გარდაიცვალა და დარჩა მას უმწეო მდგომარეობაში ცოლშვილი.

ვინ იყო აქსენტი ტაბატაძე? ის მუშაობდა სოციალ დემოკრატიულ პარტიაში 1904 წლიდან; იყო დაუზარელი და ენერგიული მუშაკი სოციალისტურ პარტიის, მუშაობდა დიდი ენერგიით ძველი რეჟიმის წინააღმდეგ. იყო ჩუმი, წყნარი, პატიოსანი და დიდის გამკეთებელი მუშაკი; ის დიდი დანაკლისია მუშათა კლასისთვის, როგორც ძველი რევოლუციონერი, სწორუბოვარი და დიდი ენერჯის მქონე ამხანაგი აქსენტი რა და-

რწმუნდა იმაში, რომ კომუნისტური პარტიის სწორი აღებული გეზი არის ნამდვილი მუშათა და გლეხთა საკეთილდღეო, მან თავისი შეგნებით და სურვილით ზურგი შეაქცია ოცი წლის ნამუშევარს მენშევიკურ პარტიაში და ეურნალი „სიმართლის ხმის“ № 23-ში 20 აპრილში აცხადებს შემდეგს: „1914 წლის იმპერიალისტურმა ომმა ნათელყო ყოველი პოლიტიკური მიმართულების ბუნება და მათ შორის მენშევიკურიც, მისი განვითარების შედეგი სამოქალაქო ომის სახით ყველა სოციალისტურ ფრაქციებს შეეხო, და თავისი გაურკვევლობის დალი დაასო, აქ შექმნილ ატ მოსფერაში არა თუ ჩვენთვის დარჩა გაურკვეველი სწორი მარქსისტული გზა, არამედ მენშევიკური ბელადებიც გაურკვევლობის ბუდეში მოხვედნენ, რაც ნათლად გამოიჩინა ყოველი მენშევიკების კონფერენციაზე, ასეთ ძვირფას ამხანაგს ვერ დავივიწყებთ მასთან ერთად ნამუშევარი ამხანაგები, რომლების გულში დარჩება ამხანაგი აქსენტის უკდავი ხსოვნა.

მისი ახლობელი ამხანაგები: **ბ. ბაბლიძე,**  
**ლ. ბერაძე.**

განზრახულია გამოიყვანონ ყოველი ჩითახრვის ბალიდან მეორე ნაქალი. მუშაობა სწარმოებს ცნობილ ანტირელიგიურ ზედამხედველობით და ტენგიკ გრიგორიანის ხელმძღვანელობით, აბანო მხათ იქნება ამ ოთხი თვის შემდეგ და ეს ხარჯები ანაზღაურებული იქნება ექსპლუატაციითა. აი კიდევ ერთი მაგალითი საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობისა გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობასა.

მუშკორი მკერვალი ნიკო.



## უთაგაქილიაგანი სოფ. მუხრანისა.

სოფელი მუხრანი შესდგება 800 კომლიდან. 15 იენისს დევესწართ სოფლელების საერთოკრებას, რომელიც მოწვეული იყო ადგილობრივ აღმასკომის მიერ სოფლის გზის შეკეთების მიზნით გამოსახელვლად. სოფლელებმა, მართალია პატარა შეუგნებლობა გამოიჩინეს და იმევე კვირა დღეს არ გამოვიდნენ საკუთარ გზის შესაკეთებლათ, მაგრამ გადასწყვიტეს საჩქაროთ შეკეთება, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მთელ სოფლისათვის.

საინტერესო იყო ამ შემთხვევაში ადგილობრივ „ტერტრას“ (მღვდელი) თავებდური საქციელი. მან აუკრძალა კრების მოსაწვევად ეკლესიის ზარის რეკა, რისთვისაც დროებით ჩავაბრძანეთ თბილ ბოსელში და კრება მაინც იქნა მოწვეული იმევე ზარის რეკით.

ჩვენ დაეკვირდით „მუხრან ბატონის“ მიერ ძველად აშენებულ ყველა შენობებს. არის აუარებელი კოშკები. საყდარი, სასახლე, მარანი და სხვა. მაგრამ სკოლა არც ერთი... ნიშანი მაინც არსად სჩანს, რომ ყო გილიყო სადმე შინაური სასწავლებელი მაინც. პირიქით, ყოველგვარი ჩაგვრა-შევიწროება და მონური ცხოვრება-აი რას აძლევდა „ბატონი“ გლეხკაცობას და ინახავდა სიბნელის სიღრმეში... ამიტომაც მე სრულებითაც არ გამიკვირდა, როდესაც ერთმა ხანში შესულმა გლეხმა გზის შეკეთების გარშემო გამოართულ სჯა-ბასისს დროს წამოიძახა: „ჩვენ ისე ვერ გავალთ თუ არ წავიყვანეთ ძალით“-ო იმდენად ორმათა ჩამყდარი „ბატონ მუხრანის სწავლა განათლება“ ამ გლეხის ძვალბილში, რომ საერთო საქმეზედაც წასვლა ვერ წარმოუდგენია თავის ნებით. მაგრამ მეორის მხრივ გამოდის ავტო უმრავლესობა, რომელიც კარგად ზედებს იმ აღმშენებლობითი მუშაობას, რომელსაც ჩაძალელებულ ფეოდალ-ბატონის ნანგრევებზე აშენებს და აწარმოებს მუშა-გლეხთა მთავრობა. ავტო სასახლე, სადაც მუხრანის დროს ზეიმობდა გლეხკაცობის სისხლის მწოველი გარყენილობა, დღეს თეატრი და სკოლაა ვახსნილი დღევანდელი გლეხობისათვის. ავტო ელექტრონის სადგური 2 ვერისს სიმორცხე, საიდანაც სულ ნახევარი თვის შემდეგ ელექტრონის სინათლეს მიიღებს მთელი სოფელი. ავტო საღამოს სკოლები. სადაც სწავლობენ ხანში შესული გლეხები და სხვა...

# მუშათა წარჩილება

## „წმ.“ ნინოს ეკლესიის საქმეები.

1924 წლის დასაწყისში წმ. ნინოს ეკლესიის უფროსმა დეკანოზმა ხახუტაშვილმა რამდენჯერმე აღძრა საკითხი თავისი ხელქვეით მღვდლების შორის იმის შესახებ, რომ რაც ეკლესიის გარშემო ძველებია ყველანი აღებული იქნენ და გაყიდული. მიზეზი გაყიდვისა იყო ის, რომ ეკლესიას ძალიან უშლიდა ძველები ლიტონიის შემოვლას და მეორეც ის, რომ ეკლესიას ჰქონდა ხარჯები და იმ ფულით უნდა გაესტუმრებიათ.

წინეთ, თვითმპყრობელობის დროს, როდესაც ეკლესიაში ათასჯერ უფრო მეტი მლოცველები დადიოდნენ, არ დასჭირებია ეკლესიას გალავნის გაფართოება, და რაღა დღეს დასჭირდა ამის გაკეთება, როდესაც მლოცველები ათასჯერ ნაკლები ჰყავს ეკლესიას, ვინც ეს იყო წინეთ. მაგრამ მღვდლებს შემოაკლდათ საფანელი და ამიტომ მოიგონეს ეკლესიის გაფართოება.

ძველები იყიდა სოლომონ მიროტაძემ, რომელსაც იქვე სასაფლაოსთან აქვს სახელოსნო და ამზადებს სასაფლაოს ქვებს. ს. მიროტაძეს უნდა აეღო ძველები და იმის საფასურში თავის ხარჯზე უნდა ეკლესიისათვის დაეგო ქვეფენილით, მაგრამ ს. მიროტაძე ამას იოლათ გამოვიდა, იმან იხმარა იქვე მოგროვილი რიყის ქვა, რომელიც ეკლესიის ხარჯით იყო მოზიდული რამდენიმე წლის წინეთ და თუ ცოტა დააკლდა, ისიც მოაგროვა რიყის ქვა ისევე ეკლესიის ადგილში ასე, რომ მიროტაძეს სრულიათ არაფერი არ დაჯდომია. ნუ თუ მღვდლები დასჯიერდნენ ასეთ საფასურით? ამას იმედია გამოარკვევს ქალაქის გამგეობა, რო-

მელიც იბარებს წმ. ნინოს სასაფლაოს და მის სახლებს.

საგულისხმოა ის, რომ მღვდლები თავს არხეინათ გრძობდნენ და ახლაც გრძობენ საცხოვრებელ სახლებში და უჭირაეთ თითოს 2-3 ოთახი იმ დროს, როდესაც იქვე მყოფი მუშები განიცდიან დიდ უბინაობას. თუ რომელიმე მუშა სთხოვს ბინას ისინი ყურსაც არ იბერტყავენ, ბერჯერ იყო კომისია მოსული ოთახების დასათვალიერებლათ, მაგრამ რაღაც მახინციებით ოთახები ხელშეუხლებელი რჩებოდა.

მ. ზ-ძე.



## თბილისის გოგილოს აბანო.

საქართველო წარმოადგენს ისეთს ქვეყანას, სადაც მრავლად მოიპოვება სხვადასხვა სამკურნალო წყლები, რომლებითაც სარგებლობენ არამცთუ საქართველოში მცხოვრებნი, არამედ უცხო სახელმწიფოებიდანაც კი მოეზურებიან აქ სამკურნალოდა. ერთ ასეთ სამკურნალო წყლად ითვლება გოგილოს გოგირდის აბანო, ეს აბანო მდებარეობს ნეთლუხის გზაზედ ყოფილ კახეთის ქუჩაზედ. ნიკოლოზის და მენშევიკების დროსაც ეს აბანო წარმოადგენდა მხოლოდ ნანგრევებს, მის შეკეთებაზედ არავინ იწუხებდა თავს და იყო უყურადღებოთ მიტოვებული. უნდა ითქვას, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიექცა სათანადო ღურადლება და თბილისის აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ ეს ერთი თვეა დაიწყო ამ აბანოს კაპიტალური შეკეთება, აქ უნდა გაშენდეს ოთახები, ნომრები ბალი და სხვა.

ხელდას ყველა ამას გლეხი და თავის შეუ-  
გნებელ ამხანაგი გლეხის სახსარად გამოდის  
წითელი ღროშით ხელში და მიეშურება გზის  
შეკეთებისათვის, რომელსაც მისდევს დანარჩენი  
სოფლებიც.

„გამოუშვით მღვდელიც, ჩვენთან ერთად  
ისიც წაგიყვანოთ გზის სამუშაოზე“, ისინი  
ხმა ხალხიდან.

ასე დამთავრდა კვირა დღის საერთო  
კრება.

გამგელო.

კომუნარი



# მღვდელი ამხანაგი

თელავი.

უდავოა ის, რომ სოფლის გლეხის და ქა-  
ლაქის მუშის დაახლოებას დიდ სასახურს  
უწყებს კოოპერაცია და ახლად დაარსებული  
სოფლის სახლები.

კოოპერაცია მთელ მაზრაში ვერ არის და-  
მაკმაყოფილებელ დონეზე დაყენებული და  
მრავალი დიდი თუ პატარა სოფელი ჯერჯე-  
რობით მწარეთ და ნაღვლიანთ გმინავენ ჩარჩ  
ვაჭრების სულთახუთავე ბრჭყალებ ქვეშ, ეს  
ვის დროზე პრესაში იყო აღნუსხული.

ახლა მე მსურს ორიოდე სიტყვა ვთქვა  
გლეხობების სახლზე, რასაც ამ რამდენიმე დღის  
წინათ თელავის ცენტრალურ ადგოლზე ერთ  
მშვენიერ ბინაზე ჩაეყარა საძირკველი.

ამ დღეს მრავალი ხალხი დაეწრო სახლის  
გახსნას, განსაკუთრებით გლეხები, რომლებიც  
ღიმილით, მოგვითხრობდნენ: — „ეჰ, ძლივს გა-  
დავრჩით მიკიტნებში დამის თევას, იმდენათ  
ხარჯის გაწევა არ ვეაწუხებდა, რამდენათაც  
ჩამოტანილ საქონლის უბრალოდ წყალში გა-  
დაყრა ხოლმე. ეგ ოხრათ დასარჩენები თითქო  
სუნით გაიგებდნენ, რომ ამა თუ იმ მიკიტანთან,  
ან ამა თუ იმ ეხოში გლეხი ჩამოსულა და თან  
ჩამოტანია ბლომათ ერბო, ყველა, მატყლი  
და სხვა, ამა ბიჭებო, არიქათ! საჩქაროთ უნდა  
დავეყეთ და ნახვეარ ფასებში გამოგსანსლოთ  
საქონლიც, იტყოდნენ და მართლაც მოგვე-  
სეროდნენ...“

ჩვენ ისე ავგვიხედდნენ გზა-კვალს, ისე და-  
გვაბორიალებდნენ ხოლმე, რომ ფასების გა-  
გებასაც კი ვერ მოვასწრებდით და „შუა კა-  
ცი“, ჩვენი ვითომდა „ერთგული“ მიკიტანი  
მოგვარაგებდა...

ის რას ვარგავდა, მოგებაში მიიწვ ის იყო,  
მაშინვე „მალარიის“ სველი ხელადები ივსე-  
ბოდა და იცლებოდა...

ახლა კი ჩვენ საკუთარი სახლი გვაქვს, სადაც  
ოჯახის წევრი ქალიც შეგვიძლიან ჩამოვიყვა-  
ნოთ, საქონელიც მოვათავსოთ სახლთან არ-  
სებულ გომურში, დავისვენოთ, დარიგებები  
მივიღოთ და ისე გულდაინჯებული ჩვენი  
მოტანილი საქონელი გავანაღოთ კოოპერა-  
ტივზე, საიდანაც ნაღვ და იავ ფასებში მი-  
ვიღებთ ფართალს, მარილს, ნავთს და სხვა  
აუცილებელ საგნებს...

ამასთანავე გლეხს შეუძლიან მიიღოს იური-  
დიული დახმარებანი თავის გახლავრობებულ  
საქმის შესახებ. საცოდავი გლეხი ძლივს გა-  
დაუწრია აბლაკატ ვეჭილების მარცვა-გლეჯას...

ეს დიდი დახმარება არის გლეხისადმი, მა-  
შასადამე საქორაო საქმის რეალურ და მაგარ  
კალაპორტში ჩაყენება, თორემ ვაჭარ-საქეკული-  
ანტები მშვიერი და ცოფიანი მგლებივით უკვე

კბილებს ილესავენ ამ სახლზე, რომელმაც დი-  
დი ზიანი მიაყენა მათ...

ამ რამდენიმე დღის წინათ ს. წინანდლის  
სახელმწიფო მამულის დათვალვიერების შემ-  
დეგ, აქ გვეწვივნენ ა. კ. ს. ს. რ. თავმჯდომა-  
რე ამხ. აღამაღლი-ოღლი, ალი ზალე, შავერ-  
დოვისა და სხვები. ამათ დათვალვიერეს ად-  
გილობრივი რამდენიმე დაწესებულებები და  
სკოლები, გაიღეს საჩუქრები სკოლებისადმი  
და იმ დღესვე სასწრაფოთ ავტომობილით და-  
ბრუნდნენ თბილისში.

საჭიროა ასეთი პირები მალ-მალე მოვი-  
დოდნენ ხალხთან, მხოლოდ როდესაც მოდიან,  
ისინი უნდა დარჩენ ცოტაოდენი დღე და ხა-  
ლხის ჭირ-ვარამზე ადვილობრივ ცნობები შე-  
კრიბონ, მისცენ ახსნა განმარტებები და დარი-  
გებები.

ივ. დავთიანი.



## როგორი სულის მამები უმარა ცრუ სარწმუნოებას.

ვანის რაიონში, თვით მშრომელმა გლეხო-  
ბამ შეგნებულათ შეაქცია ზურგი ცრუ სარწმუ-  
ნობას, მიხურა ეკლესიები, ზოგი დაარღვია  
და სკოლებათ და საავადმყოფოებათ აქცია,  
ზოგი კლუბებათ. ამ უკანასკნელი ერთი წლის  
განმავლობაში ანტი-რელიგიური პროპაგანდა-  
აგეტივამ დიდი ნაყოფი გამოიღო გლეხობა-  
ში. ივრძნო რა თავის თავი დამარცხებულათ,  
ბევრმა სულის მამებმა გაიპარეს, ანაფორა  
გაიძვრეს და მშვიდობიანი მოქალაქის ოჯახურ  
მეურნეობას მოკიდეს ხელი. ამ ბოლო ხანებში  
დამძობილებულა ორი „გმირი“ ახალგაზრდა  
მღვდლები იუსტინე და გერონტი. სიმართლეს  
ვერ დავფარავ და თუ „ცოდვით“ არ ჩამეთ-  
ვლება ორივე ყოფილი მენშევიკები არიან.  
პირველი მათგანი ქვრივია და რა ცოდვით  
ჩაეთვლება ქალებზე ნადირობა, მაგრამ მეორეს  
კი არ ეპატიება, რადგანაც რომ იტყვიან სო-  
ფლად „მარგალიტივით ცოლშვილი ყავს.“ ამ  
რიგათ თუმცა ორივე ოჯახურათ არ არიან  
ერთი მდგომარეობის, მაგრამ ქალების ნადი-  
რობაში ტოლნი არიან და არაფრით არ ჩა-  
მოუვარდებათ ნივგზარეთის მღვთის მშობლის  
გმირ მღვდელს „მამა ეტიფანეს“, ლოთობაშიც  
არ ჩამოვარდებიან ერთი მეორეს. აი ეს „გმი-  
რები“ დღეს თავგამოდებით იცავენ მშრომელ  
გლეხობაში ცრუმორწმუნეობას. წინათ მე ბევ-  
რი მორწმუნესაგან გამიგონია ასეთი საყვედუ-  
რი: „სარწმუნეობა მაშინ შეიღება, როდესაც  
იუსტინე და გერონტი მღვდლათ აკურთხეს...“

აი ასეთი უწმინდურესი მღვდლები ასრულე-  
ბენ დღეს სარწმუნეობის „წმინდა საქმეს“.   
შორს ჩვენგან. კარგად გეცნობენ, ვინც ბრძან-  
დებით. თქვენ ხავს მოკიდებისათ და რევო-  
ლიუციის ზვართები წაგლეკავს თქვენდა მოუ-  
ლოდნელათ.

## ჩვენი მუშაობა სოფლად.

(სურამის რაიონი).

სოფლად მუშაობის გაძლიერების საკითხი  
დასმული იყო, როგორც საქართველოს კომ.  
პარტიის 3-მე ლეგარულ ყრილობაზე, ისე პარ-  
ტიის 13-ყრილობაზედაც.

მთელი ყურადღება, სოფლად მუშაობაში  
უნდა მიექცეს განსაკუთრებით, როგორც ეს  
პარტიის X ყრილობაზე აღნიშნა ამხ. ლე-  
ნინმა, წერილი გლეხობის პროლეტარიატთან  
მჭიდრო და მოკიდებულების განმტკიცებას.  
მთელი სიძლიერე ოქტომბრის რევოლუციისა  
სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ მან შეს-  
ძლო გაერთიანება და დაკავშირება სამარწმუ-  
ნო პროლეტარიატისა გლეხობასთან.

მაკრატლის პრობლემა, რომელიც დღის წეს-  
რიგში დაისვა ამ კავშირის გაწყვეტის საუცხო  
ვო ნიშნაშია. თუმცა სამხედრო კომუნიზმის ხანა  
თავის ზურგზე არ გადაუტანია საქართველოს  
წვრილ გლეხობას, მაგრამ მისი მატერიალური  
და ილუზორი მდგომარეობა ბევრში ანალოგი-  
ურია რუსეთის გლეხობის პირობებთან.

შინა ვაჭრობის ბაზრის 83% დღეს ნებმა-  
ნების ხელშია, რაც ჩვენი კოოპერაციის სისუს-  
ტეთ უნდა ჩაითვალოს. ეს გარემოება თავის  
თავად დამაფიქრებელია, რადგანაც თუ სოფ-  
ლად ფეხი არ მოიკიდა კოოპერაციამ, მაშინ  
ჩვენი მდგომარეობა სოფლად კიდევ უფრო  
გაუარესდება.

ამ გარემოებას ჩვენში მიქცეული აქვს მთა-  
ვარი ყურადღება შინა ვაჭრობის კომისარია-  
ტის სახით, რაც თავისი მუშაობით ამ ფრონ-  
ტზე სასურველი შედეგებს მიიღწევს.

კულტმუშაობისა და სოფლის ქალაქთან და-  
ვალიერების საკითხს (სმინკა) სურამის რაიონში  
მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული.

კულტმეფობას ამ რაიონში ხელმძღვანელობს  
წითელი არმიის სხვა და სხვა ნაციონალური  
ნაწილები,

ადგილობრივი გლეხობა, მკირე რაოდენო-  
ბის გამოკლებით წვრილი გლეხობის მიეკუთნე-  
ბა, რომლებშიაც დღესაც კიდევ არ გამჭრა-  
ლა წვრილი ბურჟუაზიული და მეშჩანური ინ-  
ტერესები.

სწავლა განათლების საქმე ვერ არის სა-  
სურველად დაყენებული, რაც უნდა აიხ-  
სნას იმ გარემოებით, რომ გლეხობა ვერ იწენს  
სათანადო აქტივობას ამ დარგში.

ჭურნალ გაზეთების გავრცელების საქმე სე-  
ზონურ ხასიათს ღებულობს, ასე, რომ გლეხო-  
ბა ამ მხრივ მოკლებულია სათანადო ხელ-  
მძღვანელობას.

საკლუბო მუშაობაც, რომელსაც უნდა ქონ-  
დეს მიქცეული მთავარი ყურადღება, სათანა-  
დოთ ვერ ტარდება, თუმცა ნაწილობრივად

ამ გარემოებას ნაკლები ადგილი აქვს თვით სურამის ცენტრში, სადაც მოიპოვება კლუბი და ამასთანავე თეატრიც.

ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანად ტარდება კულტურეობა და ანტი რელიგიური პროპაგანდა.

ამ დარგში მუშაობას გამოცოცხლება და ეტყო წითელი არმიის სხვა და სხვა ნაწილების ჩამოსვლის შემდეგ, რომელმაც თავისი საკუთარი ცხოვრებიდან სურათების ჩვენებით გამართა შეხვედრის და გაერთიანების დღე.

ამ დღესასწაულს დაესწრო ხაშურის დეპოს მუშები, რომლებსაც დიდის ალტაყებით ხედვებოდნენ სოფლის გლეხობა და წითელი არმიელები

იყო თქმული მისასალმებელი სიტყვები, მუშების, გლეხების და წითელი არმიელების მხრიდან. ურთიერთობა წითელი არმიელებისა გლეხობასთან დღითი დღე მტკიცდება და ამასთანავე ისპობა ის ნაციონალური შუღლი,

რომელსაც რამდენიმე ხნის წინად ადგილი ქონია.

ამ ფაქტის საუცხოვო ნიმუშია. არმიის სხვა და სხვა ნაციონალური ნიშნების სალაგრო ცხოვრება, სადაც თავს იყრის სომხობა, რუსობა, თათრები და ქართველები.

სასოფლო კოოპერაცია, აქაც ისე, როგორც ყველა დანარჩენ საქართველოს კუთხეებში ვერ არის სასურველად ჩამოყალიბებული, ცენტრიდან დაშორებული სოფლები, მანამ სანამ აქ ჯერ კიდევ არ გაიხსნებოდა წითელ არმიელთა სხვა და სხვა ნაწილების კოოპერაციები, რომლიდანაც გლეხობა დღეს ლეზულობს საკონფესს, ასეთს ყიდულობდნენ სოფლის მეწვერიმანებისაგან.

კოოპერაციის და კულტურულ აღმშენებლობის საკითხს ამ რაიონში უნდა მიექცეს კიდევ უფრო მეტი ყურადღება. მდგომარეობა ერთობ დამაკმაყოფილებელია.

სოფელი.



## პოლიტიკური მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე).

წარსულ კვირაშიაც ყურადღების ცენტრად ისევ საფრანგეთის ამბები რჩებოდა.

მიღწერაში ვადადგა.

პრეზიდენტად აირჩიეს სენატის თავმჯდომარე დუმერგე, ნაციონალური ბლოკის წარმომადგენელი. ეს ფაქტი ყველას მიერ დაფასებულ იქნა, როგორც მემარცხენე ბლოკის დამარცხება.

მთავრობის შედგენა მიენდო ერიოს, რომელმაც უკვე შეადგინა ახალი მთავრობა. მთავრობაში შედიან:

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი—ერიო, იუსტიციის მინისტრი—რენუ, შინაგან საქმეთა მინისტრი—შოტან. ფინანსთა მინისტრი—კლემანტე, სამხედრო მინისტრი—ნოლლე, საზღვაო—დომენილი, ვაჭრობის—რენალდო, საზოგადოებრივ საშუალოთა—პეტრალ, სახალხო განათლების—ფრანსუა ალბერტ, შრომისა და ჯანმრთელობის—გოდარ, კოლონიების მინისტრი—დელედი, მიწათ-მოქმედების მინისტრი—კენილი, პენსიათა—ლაპიერ, განთავისუფლებული ოლქების—დობიე.

დანიშნულია ოთხი მინისტრის ამხანაგი: რობერტი—ფოსტა-ტელეგრაფის, მეიერ—სავაჭრო ნაოსნობის, ეინაკ—ავიაციის, ჯიაფერი—ტენიკური განათლების.

ახალი მთავრობის პარტიული შემადგენლობა ასეთია:

4 სენატორი, რომლებიც ეკუთვნიან მემარცხენე-დემოკრატიულ და რადიკალურ-სოციალისტურ პარტიას; 13 დეპუტატი—2 რადიკალი 8 რადიკალ-სოციალისტი და 3 რესპუბლიკანელი სოციალისტი.

ამ მინისტრებიდან ყურადღებას იპყრობს გენერ. ნოლლე.

ნოლლეს, რომელიც წინეთ მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის უფროსი იყო გერმანიაში, სამხედრო მინისტრათ დანიშვნამ საფრანგეთის და უცხოეთის პრესის გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია

„ფორვერტს“-ი სწერს: „ყველაზე უფრო საინტერესო და დამახასიათებელი ახალი კაბინეტის შემადგენლობაში არის გენერალ ნოლლე—მართლმორწმუნე დემოკრატი. მისი მეგობრები ამტკიცებენ, რომ მას ვანზრახვა აქვს დაამყაროს და განამტკიცოს მშვიდობიანობა“.

გერმანიის მემარჯვენე პრესა სარგებლობს ნოლლეს არჩევით იმ მიზნით, რომ გაილაშქროს საფრანგეთის წინააღმდეგ. „დეი კეიტუნგ“-ი მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ გენერალი ნოლლე ისე სტოვებს გერმანიას, რომ მან ვერ მიიღო სამაგიერო იმ უბედურებისათვის, რომელიც გერმანიას მიაყენეს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

ერრიომ განაცხადა, ნოლლე ერთადერთი კაცია მსოფლიოში, რომელიც კარგათ იცნობს გერმანიის სამხედრო მდგომარეობას; ამიტომ მისი კომპენტენცია ამ საკითხში ექვს გარეშეა.

\* \*

ამხ. სტეკლოვი გან. „იზვესტია“-ში აღნიშნავს, რომ ის პირობები, რომელშიც მოხდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევა, ერთხელ კიდევ ამტკიცებს მემარცხენე ბლოკის ბუნებრივ სისუსტეს. მემარცხენე ბლოკს არა აქვს არავითარი პოლიტიკური დისკოპლინა, რის გამო რადიკალური პარტიის სახელით ერთ პოსტზე ორი კანდიდატურა იქნა წამოყენებული. ამან დაქსაქსა რადიკალები. ამით ისარგებლეს მემარჯვენეებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს იმ კანდიდატურას, რომლის გამარჯვება ზიანს მოუტანდა მემარ-

ცხენე ბლოკს. მხარი დაუჭირეს დუმერგის კანდიდატურას.

დუმერგე აირჩიეს რეაქციონერებმა, კონსერვატიული ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა და დეპუტატებისა და სენატორების ნაწილმა, რომლებიც ფორმალურათ მხარს უჭერენ რადიკალურ პარტიას, სინამდვილეში კი ფენქვეშ გათილეს პარტიული დისკოპლინა და რეაქციონერებს მიეკედონენ. ამრიგათ პენლევს დამარცხება და დუმერგის არჩევა რესპუბლიკის პრეზიდენტათ, წარმომადგენს მემარცხენე ბლოკის პირველ სერიოზულ დამარცხებას, რომელმაც არა მარტო მორალური, არამედ პოლიტიკური მარცხი განიცადა.

ამ არჩევნებმა დაანახიეს მემარცხენე ბლოკს, რომ მისი ძლიერება ჰაერშია გამოკიდული, ენიიდან თუ მისი მემარჯვენე ფრთა შეფეროთა რეაქციონერ პარტიებს, ის უმცირესობაში დარჩება.

რეაქცია ჯერ კიდევ ძლიერია, მას აქვს რევანშის იმედი. რეაქცია მოხერხებულათ მოქმედებს და მორალურათ იმორჩილებს „რადიკალური“ ელემენტების საგრძობ ნაწილს. მომავალი ვეიჩვენებს, რომდენათ მტკიცე იქნება ახალი რადიკალური მთავრობა, რომდენათ გაბედულათ გაატარებს ის დემოკრატიულ პოლიტიკას.

\* \*

საფრანგეთის ახალმა მთავრობამ უკვე გამოაქვეყნა თავისი დეკლარაცია, რომელიც წინასწარ განსაზღვრულად წარუდგინა დუმერგს. დეკლარაცია ასეთია:

შინაური პოლიტიკის დარგში—საყოველთაო ამნისტია, რომელიც არ ეხება მხოლოდ სახელმწიფოს მოღალატეებს; იმ რკინისგელთა აღდგენა უფლებებში, რომლებიც დათხოვილი იქნენ გათიციის განმ; საფრანგეთის საელჩოს გამოწვევა ვატიკანიდან; სისწორით დაცვა კანონისა სარწმუნოებრივ კავშირების შესახებ; სამხედრო ხარჯების შემცირება იმ ზომამდე, რომელსაც შესაძლებლად ხდის ქვეყნის თავდაცვის აუცილებლობა; იმ დეკრეტების გაუქმება, რომლებიც გამოკეძულ იქნენ პუნჯარეს მთავრობის მიერ; საფრანგეთ უფლებების წესით; მონოპოლიის აღდგენა ასანთზე; ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობის სწორი და თვალყურის ჩატარება ბიუჯეტის წონასწორობის უზრუნველყოფის მიზნით; სავადასახლო ბოროტმოქმედებათა აღაგმვა, ვადასახლოების შემსუბუქება მოხმარებაზე და ასეთების შემოღება ბარუნაზე; კანონის დაცვა 8 საათის სამუშაო დღის შესახებ; ქუშების პროფესიონალურ უფლებების დაცვა; სახელმწიფო მოსამსახურეების პროფესიონალურ უფლებების ცნობა; ადმინისტრაციული რეფორმები.

საგარეო პოლიტიკის დარგში: მშვიდობიანობის განმტკიცება ხალხთა შორის თანხმობის დაწყარების გზით; ერთა ლიგის როლის გაფართოება; ნორმალურ ურთიერთობის განახლება საბჭოთა კავშირთან; ექსპერტთა მონსენების მიღება; რუტის ოკუპაციის დატოვება მანამდე, სანამ გერმანია არ გადასცემს ექსპერტთა კომისიის მიერ გათვალისწინებულ გიროებს ის საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთაც დაკისრებული ექნებათ მათი მოვ-

ლა; გერმანიის განიარაღებაზე კონტროლის განახლება; საფრანგეთის მშვიდობიანობის და უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრა ერთა ლიგის ავტორიტეტით დადასტურებულ საერთაშორისო ხელშეკრულებების და გარანტიების დადების გზით.

\* \*

იტალიაში ფაშიზმი დაშლის პროცესს განიცდის. დღეს ჩვენს ქურნალში იბეჭდება წერილი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ამ დაშლის მიმდინარეობას. მაგრამ ნათქვამია, შემოდგომის ბუხი მწარედ იკბინება და ფაშისტებიც ამუშავდნენ, მათ ამას წინეთ გაიტაცეს და მოჰქვს სოციალისტი დეპუტატი მატეოტტი.

მატეოტტის საქმემ აიღელვა იტალიის საზოგადოების ფართო წრეები. იტალიის ექვსმა განსაკუთრებით გავლენიანმა მინისტრმა წარუდგინეს მუსოლინი მათი გადადგომის ბარათები. მუსოლინიმა მოიწვია მინისტრთა საბჭო. საბჭოს სხდომის შემდეგ პრემიერს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა მეფესთან. შინაგან საქმეთა მინისტრათ დანიშნული კოლონიების ეხლანდელი მინისტრი ფედერკონი.

გაზეთების ცნობით მკვლელობის მთავარი მონაწილენი საზღვარ-გარეთ გაიქცენ. გაიქცა აგრეთვე პატიმრობაში მყოფი „კორიერე იტალიანო“-ს გამომცემელი ფილიპელი.

აქამდე მატეოტტის საქმის გამო იტალიის სხვადასხვა ქალაქში დაპატიმრებულია 80-დე ვატი.

ფილიპელი ხელმოკრეთ დააპატიმრეს გენუაში. ავტომობილის შოფერი დანებდა ხელისუფლების წარმომადგენლებს.

მინისტრთა საბჭოს გუშინდელ სხდომაზე მუსოლინიმ დაწვრილებით დაასურათა მატეოტტის მკვლელობით შექმნილი იტალიის შინაგან-პოლიტიკური მდგომარეობა. მუსოლინიმ განაცხადა, რომ გამომიხიებელ ორგანოებს ხელთ აქვთ მკვლელობაში მთელი რიგ პირთა მონაწილეობის დამამტკიცებელი საბუთები. სწარმოებს მკვლელობის დანარჩენ პირდაპირი და არა პირდაპირ მონაწილეთა ენერგიული ძებნა.

ფაშისტების მიერ მოკლული მატეოტტის გვამი იპოვეს ქალაქ მასის ქუჩაზე. მატეოტტის ხანჯლით რამოდენიმე ჰრილობა აქვს თავში. მუსოლინიმ განაცხადა, რომ თუ პალატა ნებას არ მისცემს, ის სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს მკვლელებს.

\* \*

უკანასკნელ დღეებში ბერლინში სწარმოებდა ბერლინის სოც. დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობა, რომელმაც მიიღო მთელი რიგი დადგენილებებისა. შურუფაზიულ პარტიებთან თანამშრომლობის შესახებ დაადგინა: ბერლინში სოციალისტების პარტიეტაგზე უმრავლესობამ 286 ხმით წინააღმდეგ 115-სა უფლებმა მისცა სოციალისტებს შევიდნენ შაფრობაში ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად. 249 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 99-სა პარტიეტაგმა უარყო წინადადება რეისტაგ-

ში რეისტაგის ბიუჯეტის წინააღმდეგ ხმის მიცემის შესახებ.

\* \*

უკანასკნელ ხანებში მოლაპარაკება სწარმოებს იაპონიასთან საბჭოთა კავშირის ცნობის გარეშე. იაპონიის ინტერესები პირდაპირ ითხოვს ამ ცნობას. მოსალოდნელია, რომ ეს ცნობა მოხდეს. ამას ხელს უწყობს ის კონფლიქტი, რომელიც იაპონიასა და ამერიკის შორის ჩამოვარდა. როგორც მკითხველებმა იციან, ამერიკამ გამოაცხადა კანონი, რომელიც უკრძალავს იაპონელებს შევიდნენ ამერიკაში. ამის გამო იაპონელები ძალიან უკმაყოფილონი არიან ამერიკით და მის სხვა და სხვა ფორმებს ბოიკოტსაც კი უცხადებენ. ეს გარემოება უსათუოდ ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის და იაპონიის დახლოებას.

„ნიპონდომპო“-ს თანამშრომელთა საუბარის დროს ამხ. კარახანმა განაცხადა:

„მე არავითარი ცნობები არ მომეპოება იმის შესახებ, თუ რა გავლენას მოახდენს საბჭოთა კავშირისა და იაპონიის შორის მოლაპარაკებაზე მთავრობის შეცვლა ტოკიოში მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება საერთო განწყობილებაზე არ არის იმდენათ და მოკიდებული, რამდენათაც საკუთარი ინტერესების სისწორით შეფასებაზე, რომ არ შეიქმნას დაბრკოლებები მოლაპარაკებისთვის იაპონიას უნდა ახსოვდეს, რომ ნორმალური ურთიერთობის აღდგენას მოითხოვენ ორივე ქვეყნის ინტერესები და ამიტომ არაფერ არ უნდა მოიხიზოვოს კომპენსაცია ცნობისათვის.“

ჩვენ უარყვავით იაპონიის წინადადება კონცესიების შესახებ. რადგან ის ისე იყო წამოყენებული, თითქო ჩვენ უნდა აუნაზღაუროთ მას რაღაც. ჩვენი მომხრე ვართ მივცეთ კონცესიები იაპონიას მხოლოდ ურთიერთ სარგებლობის თვალსაზრისით. იაპონიას არ უნდა ჰქონდეს იმედი თითქო ჩვენ მას უფრო ხელსაყრელ პირობებს მივანებებდეთ ვალების საკითხში, ვიდრე იტალიასა და ინგლისს მივანიჭეთ. იაპონიამ არც უნდა წამოაყენოს ისეთი წინადადება, რომელსაც თვითონ არ დააკმაყოფილებდა.

ამ მოსაზრების წინააღმდეგ თვით იაპონელ მოღვაწეებს არ ეთქმის არაფერი იმედ. მაქვს, რომ იცავს მთავრობა დაჩქარებს მოლაპარაკებას და წარმატებით დამთავრებს მას.



## კომინტერნის გეგმით კონგრესი.

პირველი სხდომა.

ამხ. ზინოვიევის სიტყვა.

„ამხანაგებო, კომინტერნის მე-5 კონგრესმა უნდა შეიმუშავოს კომინტერნის პროგრამა. არის ორი სახელი, რომლებმაც ყველაზე მეტად განასაზიერეს კომინტერნის პროგრამა: ესენი არიან მარქსი და ლენინი. კომინტერნი, უეჭველია, წავა იმ გზით, რომელიც ვგაჩვენებს კომუნისმის ამ ორმა მასწავლებელმა. ლენინი

რუსეთის მუშებს ასწავლიდა, რომ არ არის უფრო დიდი საქმე, როგორც სამსახურის გაწევა და თავდადება არა მარტო საკუთარი ქვეყნის, არამედ ყველა ქვეყნების მუშათა კლასისათვის. ლენინი განუწყვეტილოდ მოაგონებდა რუსეთის პროლეტარიატს, რომ ინტერნაციონალის ინტერესები ყველაზე უფრო მაღლა სდგას, რომ თვითელი რუსი მუშა უნდა ემზადებოდეს არა მარტო საკუთარი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს რევოლუციონური მოძრაობის მუშაის როლისათვის. ლენინმა თავის დიდებულ მუშაობის პროცესში იზრუნა იმისათვის, რომ, როდესაც ის წავა ამ ქვეყნიდან, დარჩენილიყო ცენტრი, რომელსაც მიმართავდნენ რეგისათვის ყველა ქვეყნების რევოლუციონერები. ეს ცენტრი არის კომინტერნი, რომელიც ლენინის გენიამ შექმნა.

ამხ. ზინოვიევი კონგრესის სახელით ესალმება კომუნისმისათვის მებრძოდ ყველა მუშებს, რომლებიც ბურჟუაზიულ ციხეებში იტანჯებიან და ჩერდება იმ დევნასა და შევიწროებაზე, რომელსაც განიცდიან კომუნისტები ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. შეეხორა პოლონეთის კომკავშირელის ენგელის დახვრეტას, ამხ. ზინოვიევიმა სთქვა: „საწყლები! განა პოლონეთის ბურჟუაზიამ არ იცის, რომ კომკავშირის დაშინება არ შეიძლება? კომკავშირი უეჭველად ბურჟუაზიული საზოგადოების მესაფლავე იქნება, პოლონეთის ბურჟუაზია საკატორლო განაჩენებით და დახვრეტით ვერ ჩაახშობს საერთაშორისო ისტორიულ მოძრაობას.“

კომინტერნის პირველი ხუთი წლის თავზე ჩვენ აღვნიშნავთ, რომ რევოლუციონური მოძრაობა ისეთი ჩქარის ტემპით არ ვითარდებოდა, როგორც ჩვენ მოგვლოდით. ჩვენ შევეცდით ტემპის შეფასებაში; იქ, სადაც წლოებით უნდა გვეგანგაროშა, ჩვენ ხშირათ თვეობით ვანგარიშობდით. კომინტერნის არსებობის პირველი 5 წლის განმავლობაში დაიმსხვრა რამდენიმე მონარქიული ტახტი; ჩვენ დავიპყრეთ დედამიწის მხოლოდ ერთი მეექვსედი ნაწილი. ამ ხუთი წლის განმავლობაში კომპარტიები აღმოცენდნენ და გაიზარდნენ მთელ რიგ ქვეყნებში. გამარჯვება ჯერ კიდევ არ არის მიღწეული, ჩვენ კიდევ უნდა დავიპყროთ დედამიწის ხუთი მეექვსედი ნაწილი. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა სასოწარკვეთილებას მივეცეთ. განვითარების ტემპი ნელი იყო, მაგრამ დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობდა. ჩვენ თითქმის ყველა ქვეყნებში ეხლა უფრო ძლიერი ვართ, ვიდრე ერთი წლის წინად ვიყავით. მთელ რიგ ჩვენმა პარტიებმა, მათ რიცხვში გერმანიის, იტალიის, ჩეხო-სლოვაკიის და ბალკანეთის პარტიებმა გაიარეს არაღვალურ მუშაობის გამოცდა, და ისინი ამ გამოცდიდან უფრო ძლიერი, უფრო გამომორძმედილი გამოვიდნენ.“

ჩვენ კონგრესს ვესწით საერთაშორისო ომის 10 წლის თავის წინ. კომინტერნის პრეზიდენტმა ამ საკითხის შესახებ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც თქვენ უნდა განიხილოთ.

ჩვენ გვინდა 27 ივლისიდან 4 აგვისტომდე მოვხდინოთ საერთაშორისო დემონსტრაცია. ჩვენ გვინდა გავატაროთ ეს დემონსტრაცია

არა მარტო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, არამედ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგაც, რომელთაც ბურჟუაზიაზე ნაკლები წილი არ მიუძღვოდა ომის დაწყებაში. ამას წინათ, ამსტერდამის ინტერნაციონალის ვენის ყრილობაზე დასმული იყო საკითხი ომის შესახებ. მთელ რიგ ქვეყნებში სოციალ-დემოკრატები სცდილობდნენ ვაითამაშონ შინაური კომედია, რისთვისაც ისინი გამოდიან ომის წინააღმდეგ მებრძოლთა როლში. ნუ თუ ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენ არ მოვავაგონებთ მათ იმას, რასაც ისინი ამბობდნენ ომის წინ და რასაც ისინი სჩადიოდნენ ომის შემდეგ. საერთაშორისო იმპერიალისტური ომის 10 წლის თავზე მთელმა საერთაშორისო პროლეტარიატმა უნდა ჰკითხოს შეიძლება, ვანდერვლდეს და სოციალ-დემოკრატების სხვა ბუნადებს არა მარტო ის, თუ სად არიან როზა ლიუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტი, არამედ ისიც, თუ სად არიან გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთის და სხვა ქვეყნების მუშები, რომელიც ამ ვაჟბატონებმა გარეყეს ომ-ში?

აღნიშნა რა კონგრესის წინაშე დასმული ამოცანები. ამხ. ზინოვიევი იმედი გამოსთქვა, რომ ყველა გადწყვეტილებები მიღებული იქნება ლენინიზმის საფუძვლებზე.

**ამხ. რიკოვის მისალმება.**

კომინტერნი ერთნახევარი წლის განმავლობაში, რომელიც გავიდა მეოთხე კონგრესის შემდეგ, **გაცილებით უფრო ძლიერი გახდა, ვიდრე ის წინათ იყო.** კომინტერნის ამოცანას გასული დროის განმავლობაში შეადგენდა მეორე ინტერნაციონალის და ბურჟუაზიული პარტიების იმ გავლენის მოსაბა, რომელიც მათ კიდევ ჰქონდა მუშათა კლასზე. ამ ამოცანის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შესრულებულია. მე-1 კონგრესისათვის ყველა ქვეყნის კომინტერნი პარტიები უფრო მასიური გახდნენ, როგორც რიკების, ისე გავლენის მხრივით; ისინი უფრო გამოხრამედილი გახდნენ პრინციპალურის მხრივ, მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლების ხელისუფლების სათავეში მოქცევა ინგლისში და სხვა ქვეყნებში, მათმა აშკარა კავშირმა ბურჟუაზიასთან გავიადვილა ჩვენ ბრძოლა მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ. ბურჟუაზია მეორე ინტერნაციონალის პარტიებს იყენებს მუშათა კლასის წინააღმდეგ.

გასული წელიწად ნახევარი მეტათ მდიდარი წელი იყო საბჭოთა კავშირის ისტორიაში. ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. საბჭოთა რუსეთის მთელი წყობილება მოეწყო ისე, რომ აღმოფხვრილი ყოფილიყო მეფის რუსეთში გიბატონებული ეროვნული ჩაგვრის რეჟიმის ყოველგვარი ნაშთები. გასული პერიოდის განმავლობაში ჩვენ დავეკარგეთ ლენინი. ამან საბჭოთა კავშირის მთელი მუშათა კლასი აიძულა უფრო მჭიდროთ გაერთიანებულიყო კომპარტიის გარშემო რ. კ. პ. ყრილობამ, რომელზედაც წარმოდგენილი იყო პარტიის 735,000 წევრი, ერთნახათ მის-პო პარტიული დისკუსია; ყრილობამ მოიწონა ცეკას უმრავლესობის პოლიტიკა, როგორც საერთაშორისო, ისე შინაურ საკითხებში. პა-

რტიაში ახალი წევრების მიღება მაჩვენებელია იმის, რომ პარტიასა და მუშათა ფართო მასებს შორის დამყარებულია მჭიდრო კავშირი და პარტიაში ახალი წევრების მიღება რ. კ. პ. პოლიტიკის საუკეთესო შემოწმებაა.

ამხ. რიკოვმა აღნიშნა, რომ კონგრესს ესწრებიან ისეთი ქვეყნების წარმომადგენლები, სადაც კომუნისტური მოძრაობა აკრძალულია. რუსეთის მუშათა კლასმა თავისი ორგანიზაცია მეფის რუსეთის კიდევ უფრო უარეს რეპრესიების დროს შექმნა. მიუხედავად ამისა, მან შესძლო თავადურ მოსკოვიდან—საერთაშორისო რეაქციის ამ ცენტრიდან, შეექმნა კომუნისტური რევოლუციის დასაყრდენი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ,—სთქვა ამხ. რიკოვმა,—რომ კომინტერნი მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოში მოახდენს იმას, რაც რუსეთის მუშებმა მოახდინეს მოსკოვში\* (მქუხარე ტაში).

**ამხ. ლოზოვსკის მისალმება**

ამხ. ლოზოვსკი მიესალმა კონგრესს პროვინტერნის და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს სახელით; მან აღნიშნა, რეფორმისტულ წრეებში ბევრს ლაპარაკობენ კომინტერნის არჩიზის შესახებ, მაგრამ რეფორმისტებს არ ესმით, რომ ამ კრიზისში\* იქედება ნამდვილი ბოლშევიკური საერთაშორისო პარტიები.

**ნორჩ პიონერების მისალმება**

ახალგაზრდა პიონერების სახელით კონგრესს მიესალმება ამხ. სემენოვსკი, რომელმაც განაცხადა, რომ ილიის მიერ დატოვებულ საქმეს ნორჩი პიონერები კომპაგშირთან ერთად სისწორით შეასრულებენ. ამხ. სემენოვსკი თავის სიტყვას ათავებს შეახილით: გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდა პიონერებს\* (მქუხარე ტაში, ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს).

**მუშაების საჩუქარი.**

**ამხ. ზინოვიევი—საპატიო მემორიალი.**

კონგრესის პირველ სხდომაზე მისალმებით გამოვიდნენ ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენელი: მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მისალმების სიტყვები დიდ აღფრთოვანებას იწვევენ სხდომაზე. რამდენიმე დღეგაცია უძღვის კონგრესს საჩუქრებს. საფეიქრო ქარხნის მუშები უძღვნიან კომინტერნს ამხ. ლენინის საუცხოვოდ მოქარგულ სურათს. რკინისგზებებს საჩუქრათ მოაქვთ რევოლუციის სავალ გზის მაჩვენებელი რკინისგზის ისარი და წინადადება შეაქვთ კომინტერნის თავმჯდომარის ამხ. ზინოვიევის საპატიო მემორიალს არჩევის შესახებ. წინადადება მიღებულია ერთხმად მთელი დარბაზის ტაშისცემით.

**კომინტერნის პასუხი.**

მუშათა მრავალრიცხოვან მისალმებაზე უპასუხა გერმანიის დელეგაციის წევრმა **გებხარტმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ მთავლიო პროლეტარიატმა რუსეთის პროლეტარიატთან ერთად დაჰკარგა უდიდესი ხელმძღვანელი, **აღარ არის ლენინი, მაგრამ ლენინიზმი უცვლადია მთელი მსოფლიო პროლეტარიატისთვის.** ჩვენ ვისარგებლებთ თქვენი უდიდესი რევოლუცი-

ონური გამოცდილებით ჩვენი ქვეყნების რევოლუციებისთვის.

ჩვენ ვეცდებით ლენინის მოძღვრება რევოლუციონურ სინამდვილეთ ვაქციოთ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ სიკოცხლეს შეგსწირავთ ჩვენი რევოლუციის საერთო ციხე-სიმაგრეს—საბჭოთა რუსეთს.

**კონგრესის რეზოლიუციები**

კონგრესმა ერთხმად მიიღო საფრანგეთის დელეგაციის წევრის [ტრენტის მიერ წაკითხული საპროტესტო რეზოლიუცია თეთრი ტერორის წინააღმდეგ, ინგლისის კომპარტიის წარმომადგენლის [სტიუარტის მიერ წაკითხული საპროტესტო რეზოლიუცია კოლონიალურ და ნახევრათ კოლონიალურ ხალხთა ჩაგვრის და დევნის წინააღმდეგ, რეზოლიუცია მისალმებით პარტიაში ახლათ მიღებულ წევრებისადმი, რეზოლიუცია მისალმებით წითელი არმიისა, ფლოტისა და ავიაციისადმი, და რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ 27 ივლისიდან 4 აგვისტომდე მოწყობილი იქნეს საერთაშორისო დემონსტრაციები იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

**თეთრი ტერორის წინააღმდეგ.**

კომინტერნის მიერ **თეთრი ტერორის** წინააღმდეგ გამოშვებულ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ მეხუთე კონგრესი აკრიბება იმ დროს, როდესაც მთელ რიგ ქვეყნებში საშინაო თარეშობს თეთრი ტერორი. ათეული ათასი მუშები, გლეხები, კომპარტიების და პროფკავშირების წევრები იტანჯებიან ბურჟუაზიული ქვეყნების ციხეებში. სიკვდილით დასჯა, დახვრეტა სასამართლოს გარეშე, წამება, რომლებიც საშუალო საუკუნოების ინკვიზიციის ცუდ დროს მოგვაგონებენ, მასიური მკვლელობები, პოგრომები, დამატირებულთა დახვრეტა „გაქცივის ცდისათვის“, მკვლელობა ბნელი კუთხეებიდან—ყველაფერი ეს ყოველ დღე ხდება ბურჟუაზიულ ქვეყნებში. **კომინტერნის მეხუთე საერთაშორისო კონგრესი მზურვად საღამს უგზავნის კაპიტალის ყველა პაკიმრებს.** არ არის ისეთი ტანჯვა-წამება, რომელიც არ გადაიტანონ ყველა მშრომელთა და ჩაგრულთა განთავისუფლების დიად საქმისათვის. **სიკვდილით დასჯით, წამებით და თეთრი ტერორით ვერ შეაჩერებს საერთაშორისო ბურჟუაზია ჩვენს მოძრაობას. გამარჯვების საათი ახლოა.** წითელი არმიისა, ფლოტისა და ავიაციის მუშაკებისადმი მიმართულ მოწოდებაში კომინტერნის კონგრესი ესალმება მათ მრავალმილიონ მშრომელთა სახელით.

**მ რ თ ნ ი კ ა**

◆ **თბილისში** ჩამოვიდა რუსეთის სახალხო განათლების კომისარი ა. ლუნაჩარსკი.

◆ **ამხ. ლუნაჩარსკიმ** მოხსენება გააკეთა კომინტერნის შესახებ განათლების მუშაკთა კავშირის კრებაზე. მან ინახულა აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

◆ მთელ საქართველოში საშინელი გველეხა მოსაგალი ფუჭდება.

◆ 15 ივნისიდან დაიწება საპარო მიმოხველა: ლენინგრადი—მოსკოვი—ხარკოვი—როსტოვი—ბაქო—თბილისი—ბათუმი.

◆ საქართველოს სახალხო კომისარია საბჭოში გადასწვრიტა ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავისთვის საქართველოში მოსპობილ უნდა იქნას წერა-კითხვის უცოდინარობა.

◆ დღეს, 22 ივნისს ს. სართალაში დაწინაურდა გარე-კახეთის ყოფილ მენშევიტა და გვარდიელთა კრება, რომელზედაც მოწვეულნი არიან საქართველოს კომპარტიის ცეკას და ცეკის თვისებების გამტარებელი კომისიის წარმომადგენელნი.

**სხვა და სხვა ამბები.**

◆ მილგრანი აიძულეს გადამდგარიყო და უკვე გადადგა.

◆ საფრანგეთის პრეზიდენტად აირჩიეს დუმერგი, სენატის თავმჯდომარე.

◆ დეპუტატმა გადმოგვცა ცნობა, რომ სენატის თავმჯდომარეთ პუანკარეს ნიშნავენო.

◆ პრეზიდენტის არჩევნებში სასტიკად დამარცხდა მემარცხენეთა ბლოკი, მათი კანდიდატი პენლევე გააშავეს.

◆ მთავრობის შედგენა მიენდო რადიკალ-სოციალისტ ერიოს.

◆ ერიომ უკვე შეადგინა საფრანგეთის მთავრობა.

◆ ახალმა მთავრობამ დეკლარაცია გამოაქვეყნა.

◆ ერიოს მთავრობის პროგრამაში შედის საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა.

◆ გერმანიის მემარჯვენე პრესა ამტკიცებს, რომ ერიოს პოლიტიკა პუანკარეს პოლიტიკის გაგრძელება იქნებაო.

◆ ლონდონის კონფერენციის მუშაობა ჯერჯერობით დაუბრკოლებელი მიმდინარეობს.

◆ კონსტანტინოპოლის ცივილობენ საბჭოთა დელეგაციის შეურაცყოფას, მაგრამ მიზანს ვერ აღწევენ.

◆ კონფერენციამ უკვე განიხილა ვალების საკითხის მოგვარების გეგმა.

◆ საბჭოთა კავშირის და ბრიტანეთის საგარეო პალატის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

◆ გერმანიის სოც. დემოკრატიული პარტიის ყრილობა მიმდინარეობდა კომუნისტებთან ბრძოლის ნიშან ქვეშ.

◆ ბერლინის პარტიეტაგმა უფლება მისცა სოციალისტებს შევიდნენ მთავრობაში ბურჟუაზიასთან ერთად.

◆ აშს. კარხანმა განაცხადა, რომ იაპონია ისეთ პირობებშია, რომ მისთვის ხელსაყრელი საბჭოთა კავშირის ცნობაო.

◆ დაიკარგა იტალიის პარლამენტის წევრი, დეპუტატი სოციალისტი.

◆ გამოიკვია, რომ დაკარგული სოციალისტი დეპუტატი მოუკლავთ ფაშისტებს.

◆ რუმინეთი აძლიერებს თავის ფლოტს, მან დაუკვეთა იტალიაში ოთხი ახალი ნაღმოსანი.

◆ ფრანგი მფრინავი ცდილობს პაერობლანით შემოუაროს მთელ დედა-მამას. მან 120 საათის განმავლობაში გაიფრინა 20.000 ვერსი.

◆ იტალიის ფაშისტებ შორის განხეთქილება ონდათან იზრდება. პარტიიდან გამოირიცხეს ოპოზიციის ლიდერი როკვა.

◆ როკვა უკანასკნელ ხანებში გამოუშვა ფაშისტების საწინააღმდეგო წიგნი.

◆ ფაშისტებში მრავალი ახალი მიმართულებანი ისახება, ერთი ასეთთაგანია სტუდენტების ორგანიზაცია, რომელიც ძალიან აფრთხობს მუსოლინს.

◆ წელს ამერიკაში მოსავალს ძლიერი ცუდი პირი უჩანს.

◆ იაპონიაში უკვე შესდგა ახალი მთავრობა. პრემიერია კატო, რომელიც მომხრეა საბჭოთა კავშირის ცნობის.

◆ მიმდინარეობს კომუნისტ კოოპერატორების საერთაშორისო კონფერენცია.

◆ პოლონეთის მთავრობა უკრაინელთა უმეაყოფილების ჩასაქობად ტერორს მიმართავს.

◆ საფრანგეთში კომუნისტებმა მემარჯვენეების წინააღმდეგ მოაწყვეს დემონსტრაცია.

◆ გენ. ნოლლე დაინიშნა სახრანგეთის სამხედრო მინისტრად.

◆ მემარჯვენე პრესა საფრანგეთში დუმერგის პრეზიდენტად არჩევას მემარჯვენეთა გამარჯვებით სთვლის და აღტაცებულია.

◆ დანიის მთავრობამ იცნო საბჭოთა კავშირი.

◆ თანდათან მტკიცდება ნორმალური ურთიერთობა ესტონეთთან.

◆ ინგლისის კოოპერატორთა ყრილობა მიესალმა საბჭოთა კავშირს.

◆ პოლონეთში გრძელდება ეროვნულ უმცირესობათა დევნა. ტერორი დიდია.

◆ უკრაინელები და ბელორუსები პოლონეთში მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან შეერთებას.

◆ იტალიის მრავალ ადგილებში ხდება ანტიფაშისტური დემონსტრაციები.

◆ ინგლისში მუშათა გაფიცვა უკვე დამთავრდა. ამბობენ, რომ მუშები ახლო მომავალში კვლავ განახლებენ ბრძოლასო.

◆ მექსიკის მთავრობამ გააძევა ბრიტანეთის რწმუნებული ვეშენსი, რომელიც ინტრიგებს აწარმოებდა მექსიკაში.

◆ ალბანეთი სასვებით აჯანყებულია ხელში. ახლო ხანში შესდგება ახალი მთავრობა.

◆ ინგლისის პრესაში დაიწყო კომპანია ოსმალეთის წინააღმდეგ.

◆ 17 ივნისს მოსკოვის დიდ თეატრში გაიხსნა კომინტერნის მე-5-ე კონგრესი.

◆ კომინტერნის კონგრესის თავმჯდომარეთ არჩეული იქნა გ. ზინოვიევი. პრეზიდენტის წევრებია: კლარა ცეტკინა, სტალინი, ბუხარინი, ტროცკი და სხვები.

◆ ფაშისტებმა მოკლეს სოციალისტი მატეოტი. ამ ფაქტმა ააღვლია იტალიის საზოგადოებრივი აზრი. ექვსმა გავლენიანმა მინისტრმა ამის გამო გადადგომის ბარათი წარუდგინა მუსოლინს.

◆ ავსტრია ეკონომიურად უფსკრულის პირას სდგას. უკანასკნელ 5 კვირაში თავი მოიკლა შიმშილობის და გაკოტრების გამო 500 კაცი.

◆ უენევაში მოეწყო კომინტერნის წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო ფაშისტური ლიგა.

◆ ბულგარეთის გლეხთა პარტიის ლიდერი მიკლეს ბულგარეთის ფაშისტებმა.



**წერილები რედაქციის მიმართ.**

**ამს. რედაქტორო!**

გთხოვთ ჩემი პატარა განცხადება მოათავსოთ თქვენ პატივცემულ „სიმართლის ხმაში“, როგორც მუშა, მე ახალგაზღვრიდანვე 31 ცვილობაში მიმელო მონაწილეობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, ვინაიდან საქართველოში გასაბჭოებამდე გაბატონებული იყო საქ. სოც. დემოკ. პარტია (მენშევიკებისა) მე მოგყვი ამ პარტიაში. ვხლა, როდესაც არამც თუ ჩვენ, არამედ თვით ლიდერებმაც ივრანეს თავიანთი შეცდომა და მრუდე გზა, რომლითაც მილიონდენ თითონ. რამეცაღვინა ჩვენ მუშები, უარყვეს დღეს, როდესაც ნათლად სჩანს, რომ ერთად ერთი დამცველი მუშათა კლასის ინტერესებისა არის კომუნისტური პარტია, ამისათვის ვგმობ მენშევიკების პარტიას და ვაცხადებ, რომ გულით და სულით და მთელი ჩემი ენერჯით ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლებას, მესამე ინტერნაციონალს და ვდგები კომუნისტური დროშის ქვეშ, მე ვიხარებ სანდრო ფარნიევის და მის ამხანაგების პლატფორმას.

პარტიის წევრი ვიყავი 1903 წლიდან 1921 წლამდე დანარჩენ ამხანაგებსაც მოუწოდებ ნულარ ერიდებთ და ნუ რცხვნიათ. მე მგონია, რომ ერთი მილიანი ფორტი უფრო მეტ სარგებლობას მოგიტანს, ვიდრე ცალკე ჯგუფ-ჯგუფათ კუთხეში ლაპარაკი.

დავით ზაქარაის ძე ძნელაძე.

ვინაიდან მე ვითვლები ამ ყამათ გლეხად ე. ი. წერილ მესაკუთრედ, რომელსაც (ექვს სულიან ოჯახს) ნორმაზედაც ნაკლები მიწა მაქვს და სახლკარიც გაუშარათავი—და ამავე დროს სოციალისტური თვალსაზრისით—ექვსის თვალთ უტკერის კომუნისტური პარტია—პარტიაში მიღების დროს, მიუხედავად იმისა, რომ 26—წელიწადია, რაც მუშათა და გლეხთა ინტერესებისათვის მიბრძოლი, სწორედ ნახევარ სიცოცხლებზე მეტი გამიტარებია პარტიულ მუშაობაში და დღეს კი ძნელი ხდება არა პროლეტარულ ელემენტებისთვის პარტიაში მიღება—ეს მეც მწამს პრინციპიალური თვალსაზრისითაც, ამისათვის მე ვტოვებ ყოველივეს, რაც კი მე მეკუთვნოდა გარდა ტანისამოსის და ერთი ხელ ლოგინსა. ამ ერთი უკანასკნელი საგნაიანთ ვეკუთვნი სიკვდილამდე კომუნისტურ პარტიას—ჩემი საკუთარი თავით.

ვანო გრიგ. მაისურაძე. (ტურა)

- სარედაქციო კოლეგია:
- ნ. ჩლაიძე.
  - ა. ფარნიევი.
  - ა. რუხაძე.
  - ქ. თოფაძე.
  - გ. ვარდოიანი.